

თამაზ გოდერძიშვილი

ინსტენირებები



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2020

მთვარის მოტაცება

რომანი სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი სცენაზე გამოჩენის მიხედვით

ავტორი

კაც ზვამბაია

არზაყანი – ამისი შვილი

ტარიელ შარვაშიძე

თამარი – ამისი შვილი

თარაშ ეშვარი

კაროლინა

გვანჯ აფაქიძე

ძაბული

შარდინ აღშიბაია

ლუკაია ლაბახუა

პირველი ახალგაზრდა

მეორე ახალგაზრდა

ჯოტო გვასალია

ჩალმაზი

ზოსიმია

ანული ფარჯანიანი

მაია – თარაშის დედა

ხათუნა – არზაყანის დედა

ქორა მახვში

დამა – შარვაშიძეთა მოახლე

გურანდუხტი

ხერიჰსი – ტარიელ შარვაშიძის ვაჟი

ციურუნია – ეშვარების ნათესავი.

1 ერგეაშვა

ავტორი – ერთი უცნაური სიმღერა გამიგონია აფხაზეთში. ვაპრადას არა ჰგავს იგი ჟრუანტელის მომგვრელს, არც ახრააშვს, დაკოდილს რომ უმღერებენ, მოსალბუნე სინაზით სავსეს; არც აზარს, თარჩიას დროს შესაძახებელს, არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბლით შებურვილ ცხენს რომ ეტყვიან აფხაზები ზართა და დამბაჩის სროლით. არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავრული. ერგეაშვას უწოდებენ მას. მგრავინავი, ვაჟკაცური ხმით მღერიან – მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად. დეე, გაიგონოს მისი ხმა მგზავრმა ღამეულმა, კარგმა ვაჟკაცმა, კარგ ცხენზე მჯდარმა. დღისით, მზისით მტერს და განსაცდელს არ შეეგუება, მაგრამ თუ გზა ვერ გაიფონა და მეგზურიც ვერ იპოვნა, რა უყოს მაშინ კარგმა მამაცმა ღამეს? სწორედ ამ სიმღერას მღეროდა ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი კაც ზვამბაია, თავის ჩერქეზულ ჭაკზე მჯდარი და ჟამიდან ჟამზე დაწინაურებულს მგლურით მიმავალ ვაჟს – არზაყანს ესიტყვებოდა.

კაც – ჰეი, ვარა, რამდენჯერ მითქვამს: აღვირი მარცხენა ხელით უნდა გეჭიროს ტახტასთან, როცა გაგიჭირდება, ორივენი თანაბრად უნდა ასწიო და მოკლედ დაუჭირო-მეთქი! მართალი უთქვამს ბრძენს: ჩემს ნახედნ კვიცზე ყმაწვილი ან დედაკაცი არ შესვათო.

არზაყანი – გზა ტალახიანია და იმიტომაც ოჩნობს ცხენი.

კაც – არც ეგ გაგეგება შენ. სწორედ ტალახსა და ხნულში უნდა ატარო ახლადნახენდი ცხენი. შენ თუ ვერ მორევიხარ მაგ ულაყს, გავცვალოთ ცხენები.

არზაყანი – სჯობს ისევ მე შევეჩვიო, ეგებ მარულაზე ამ ცხენზე მომიხდეს ჯლომა.

კაც – სულწასული ხარ და მოუთმენელი. კარგი მხედარი მათრახს უნდა ზოგავდე, რადგან კარგი ცხენი უმათრახლოდაც იცნობს მხედარს. არავინ ისე საცოდავი არ არის, როგორც მეგრელისეული ცხენი. მეგრელს ცხენი თავს ურჩევნია, თავის ცხენოსნობის გამოსაჩენად თუ დასჭირდა, ცხენსაც არ დაზოგავს. მაგრამ ამ ღამის ქადაგებას რა ჭკუა აქვს, დღისით ნათქვამიც არ დამიხსომე. კომკავშირში ნუ შეხვალ-მეთქი და მთელ სოფელში პირველი ჩაეწერე, რაიკომის მდივან ჩალმაზს ნუ აჰყვები-მეთქი და ღამის

სულში ჩაიძვრინო ჩალმაზი. აკვანში დანიშნული ქალი ძაბული მიატოვე და თამარს გადაეკიდე, შარვაშიძის ქალს. რა შენი საქმეა თავადის ქალი! სად შარვაშიძე და სად ზეამბაია! (პაუზა) რას უცდი, ვარა, თუ იცი? ხომ ხედავ, ბოგირი მოშეებულა და საეჭვოა, ბორანი ამ კვირაში აეწყოს. შეაგდე ცხენი ენგურში.

არზაყანი – მოცლა აჯობებს.

კაც – ჰეი ვარა, შენხელა რომ ვიყავი, სათოფე მანძილზე წინ მივუშვებდი ენგურში ცხენს, მხიარულად გამოვენტობდი უკან, ძუაზე ხელს მოვაგლებდი და კისერზე აბგაგადაგებული მივსდევდი.

არზაყანი – მერე აპრილში, დადრა??

კაც – სწორედ აპრილში, რიცჰა... აპრილი ბედნიერი თვეა ჩემს ცხოვრებაში.

არზაყანი – დედამ გვთხოვა, თუ შემოგადამდეთ, ენგურში ნუ გახვალთო. ცუდი სიზმარი მაქვსო.

კაც – შენ ხომ არც ღმერთი გწამს, არც სული და არც სიზმარი?!

არზაყანი – მე არც ღმერთი მწამს, არც სული და არც სიზმარი, მაგრამ დედამ დამაბარა და მეც გაგახსენეთ, დადრა.

კაც – ასე თუ გინდოდა, არ გერჩია სოსელიასას დაგვეცადა, რომ ატროკდი, ღვინო არ დალიე, საჭმელს პირი არ დააკარე, კულაკებთან ღვინოს არ დავლევეო, რომ აჩემე. თარაშ ემხვარი მიატოვე, დედაშენის გაზრდილი.

არზაყანი – კულაკებთან ღვინოს არ დავლევე, მაგრამ მცურავ კულაკსაც გამოვიყენებ, თუ ეს საჭირო განდა.

კაც – ნუ იცი, ბიჭო, ასე უტიფრად თავის მართლებას! თქვენ ქაჯი ვერ გამოგტეხავთ. რა გიშავთ, შვილო, მოქნილი ენა მოუცია ღმერთს თქვენთვის და...

არზაყანი – ღმერთს არაფერი მოუცია ჩემთვის, დადრა.

კაც – ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ და თქვენი ენაც!

ავტორი – ხედავდა არზაყან, თუ როგორ მოტყუვდა ვარაუდში. წინასწარ დარწმუნებული იყო, მზის ჩასვლამდე ენგურს გადალახავდნენ. თარაშს სოსელიასთან დაათრობდნენ ალბათ; შესაძლოა მესამე დღემდის ესვათ სამეზობლოში. არზაყან ზუგდიდს ჩაასწრებდა თამართან. დოლი მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაიწყებოდა და ამ ორ დღეს შესაძლოა ბევრი რამ მოეტანა არზაყანისთვის და ამ გზით ბოლო მოეღებოდა თამარის

მუდმივ ყოყმანს თარაშ ემხვარსა და არზაყანს შორის. მამა-შვილმა ენგურს გახედეს. მეორე ნაპირი სავსებით არ ჩანდა. და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მთელი გადაღმა მხარე მთვარისაგან გაკრიალებულ ენგურს დაეპყრო. მეწინავე ცხენს უკვე გავაზე გადასდიოდა წყალი. თენდებოდა, როცა მამა-შვილმა ნაპირს მიაღწიეს. ტოროლებს აჰქონდათ ცაში ამ ტყის, ამ მზის საგაზაფხულო ჰიმნი. გადმოსულიყო მზე პირგავსილი და მოხასხასე, მეწამულ ოქროს აფრქვევდა ჭალებს. და წინა ღამით კლდეებთან ნაბრძოლი ენგური მიტყვლაშუნებდა, მიგელავდა და მდინარესთან ნაბრძოლ, დაქანცულ, ნაწამებ მამა-შვილს, მუხის ძირას ფეხმორთხმულთ, ისე მოესმოდა ენგურის მგრავინავი ხმა, როგორც მილიონების პირით ნამღერი ერგეაშვა.

მეორე ეპიზოდი

ავტორი — ოდითგანვე ასეთი წესი იყო შარვაშიძეების ოჯახში: როცა ბაბუა ტარიელ ნასადილევეს თვალს მილულავდა, დიდსა და მცირეს პირი უნდა აეკრა. ნახუცარმა ანაფორა არ გაიხადა, ახალ წესებს ვერ შეეგუა, ენა არ გააჩერა, ყოველ ქადაგებაში ბოლშევიკებს ლანძღავდა. ბოლოს მცირერიცხოვან მრევლს გამოეთხოვა და შვილის ოჯახში გადმოსახლდა ზუგდიდში, სადაც ტარიელის ვაჟი ხერბის შარვაშიძე გინეკოლოგიის პრაქტიკას ეწეოდა დაბაში. *(პიანინოს ხმა)*

ტარიელი — *(საწოლის კიდეებთან მიყუდებულ ყავარჯენს აიღებს და სამჯერ შემოკრავს. შემოდის თამარი)* ვინ უკრავს?

თამარი — თარაშ ემხვარი, ჩამოვიდა ესესაა. ვერ დავუშაღე სტუმარს.

ტარიელი — ცხენით ჩამოვიდა?

თამარი — არა, ოჩამჩირის მატარებელს ჩამოჰყოლია. ხომ არაფერი გინდა, მამიკო?

ტარიელი — არაფერი, წადი. *(თამარი გადის მეორე ოთახში, სადაც თარაშ პიანინოს მისჯღღობია. კაროლინა კი ყურს უგდებს)*

თამარი — რას უკრავ, თარაშ?

თარაში — გრივია. ამას კი უუკრავ, მაგრამ შენი ბალისა და ვაშლის ხის შემხედვარე, იცი, რას ვფიქრობ? გერმანელების

ნისლიან ქვეყანაში, საიდანაც ჩამოვედი, აპრილში ვაშლის ხეები არა ჰყვავიან. ხოლო ატმები და ალუჩები ორანჟერეებში თუ გასძლებენ, გარშემო ჯერ კიდევ თოვლია მოლიბრო.

თამარი – მე კი, როცა შენ დაკვრას სწყვეტ, ბაღში რომ სკებია, იქაური დაღალული ფუტკრების ბზუილიც კი მესმის, ისეთი სიმყუდროვეა.

თარაში – ჩუ! გესმით. მგონი, ბულბული გალობს.

თამარი – უთუოდ ბულბული იყო, ალბათ, ამ ქვეყნად მგოსანთა და მუსიკოსთა შორის პირველი.

თარაში – სადღაც აქვია ეს ბულბული, გესმით, სულ მარტო კვინის, როგორც ბნელში მომღერალი მარტოსული. არავინ ისე მგრძნობიარედ არ მღერის, როგორც მარტოსული.

თამარი – შენ ისეთი ლაპარაკი იცი, უთუოდ პოეტი უნდა ყოფილიყავი.

თარაში – პოეტების ბედი არასოდეს შემშურებია. ეგენი ყველაზე უბედური ხალხია. სიტყვის ლოთები არიან. მეც სიტყვის სიყვარულმა გადამრია, ფილოლოგიც ამიტომ გავხდი. ყოველი სიტყვის ფესვს უფსკრულამდე მივდექ, ბოლოს კი ხელში არაფერი მრჩება.

კაროლინა – თქვენ, ალბათ, უდიდესი ენერგია ლაპარაკსა და ჭამაში გეხარჯებათ. იცით, ჰერ, ხუთი წელია აფხაზების რძალი ვარ და ხუთას წელსაც რომ ვიცოცხლო, თქვენს ჩვეულებებს ვერასოდეს შევეგუები. არსად ამდენი სტუმრები არ იციან, არსად ამდენ დროს არ ანდომებენ ჭამასა და ლაპარაკს. ყველაფერზე უფრო ის მაოცებს, თქვენ ყველანი სახით, ტიპით, ჟესტიკულაციით, ხმით და ჩვევებით ერთმანეთს რომ ჰგავხართ ასე ზედმიწევნით. გლეხი, ყოფილი აზნაური, თუნდაც თქვენ, ყოფილი თავადი და განათლებული კაცი, ყველანი ხელით ეხებით საჭმელს.

თარაში – პატივცემულო ფრაუ, ჩვენი სიძლიერე სწორედ ისაა, რომ თქვენ ჯერ კიდევ ერთგვარნი გეჩვენებით.

კაროლინა – ჰერ ემხვარ, თამარმა გამაცნო თქვენი ძიძიშვილი. მისი სახელის გამოთქმა მეძნელება...

თარაში – არზაყან!

კაროლინა – დაახ, არზაკან. მე ძალიან შორსა ვარ კომუნისტური ამბებისაგან, მაგრამ იმ ყმაწვილს ძალიან ნათელი აზროვნება აქვს. მიკვირს, რომ მას თქვენზე პროგრესული აზრები აქვს. არზაკან მეთანხმება, რომ აფხაზებმა თავიანთი ჩვეულებები უნდა

უკუაგღონ და სხვა ხალხებით პროგრესის გზას დაადგენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაილუბებიან.

თარაში – კეთილო ფრაუ, თქვენ, ევროპელები, ეგოისტები ხართ; ჩვენგან ამას მოითხოვთ, ჩვენ გარდავიქმნეთ, ესე იგი, ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორც ჩვენ ვყოფილვართ, ან ვართ, ესე იგი, თქვენ დაგემსგავსოთ. და თქვენ ეს მოვლით, არა ჩვენი სიყვარულით, არამედ იმისთვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, ყველანი თქვენა გვავლეთ. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა. თქვენ გირჩევნიათ არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად – ჯონი, ჟანი და ჰანს გვერქვას. თქვენ გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენს ენებზე გადავიდეთ, თქვენს ქარხნებში გაკეთებული ტანსაცმელი მოერგოს ჩვენ ტანს, თქვენ ავტომობილებს შევეჩვიოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიწამოთ, ჩვენსას მივაფურთხოთ, თქვენი ლოცვები ვთქვათ! ჩანგლის ხმარებაში, კეთილო ფრაუ, არც ისე დიდი ფილოსოფიაა. ჩვენ ძველ კოლხიდაშიც გვცოდნია ფიწლის ხმარება. ვინც ამას მიხვდა: ხელით მობოჭვას თივისას ფიწლით ალება რომ სჯობია, საჭირო რომ ყოფილიყო, უთუოდ იმასაც მიხვდებოდა, ხელით ჭამას ჩანგლით ჭამა რომ სჯობია. როგორც დაშაგემ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკერავენ და მთელ ღამეს აააააა-ს ჩასძახიან, რათა წარსული დაავიწყონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში ააააა-ს ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში და მე სულ სხვა გავხდი, ვიდრე აქ ვიყავი და ახლაც იგი არა ვარ, რაც უნდა ვყოფილიყავი. რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამომადლა და რაც აქ შემიძენია, იქ არ გამომადლება. *(მჯგის საათს დახვდა)*

კაროლინა – წასვლას აპირებთ.

თამარი – ეგებ ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყავი.

თარაში – ისედაც გამიხანგრძლივდა ახალგაზრდა ქალის ოთახში გვიან ღამემდე ყოფნა... თანაც სამუშაოც მაქვს. *(თავს დაუკრავს და გავა).*

მესამე ეპიზოდი

ავტორი – ზუგდიდში თუ ყოფილხართ? არა? მაშ, საქართველოს უღამაზესი დაბათავანი არ გინახავთ. დადიანის სასახლის გასწვრივ მიურატისიეული დგას. ფეოდალის სასახლე და ერთქუჩიანი ქალაქი! როცა მთელს ქალაქში მხოლოდ ერთი პროსპექტია, მაშინ ყოველი კაცი უმზერს თითოეულის საქმიანობას. სწორედ ამიტომაც მთელი ქალაქი ხედავდა, თუ როგორ დარბოდა შარდინ ალშიბაია და აფიშებს აკრავდა: „ზუგდიდი – მაისის 3 – გრანდიოზული მარულა“.

გვანჯი – აბა ჰა, არზაყან, აბა ჰა! აბა შენ იცი და შენმა არაბიამ, სირცხვილს თუ არ გვაჭმევ ენგურსგალმელებს. ხომ ხედავ, ახალ დროშიაც ჭკუა ვერ ისწავლეს გამოღმელებმა, ჯვარში კაცი გაუგზავნიათ კიწი დადიანთან, იცი, კიწი ძველი ცხენეჯია. გარდა ამისა, მიწსახკომის ცხენები ჩამოუყვანიათ თბილისიდან. ისეთი, ისეთი, შენს გაზრდას, კაცის თვალი უკეთესს ვერ ინატრებს. კარგ ცხენს აქლემს უნდა მიუგავდეს სამი ასო: თავი აქლემისამებრ ხმელი, ცხვირიც მასავით გრძელი, ლაშიც აქლემისამებრ წაგრძელებული. ენა და ძუა გრძელი უნდა ჰქონდეს ჯიშთან ცხენს, კაცს კი ენა მოკლე. აფსუს, ძუა რომ მოგიჭრია, არზაყან, ეგ რუსებს სჩვევიათ. რა გიქნია, ბიჭო? რახსი ცხენი ყოველი ფერისას სჯობია. ამას შუბლიც შავი აქვს. ეს კი უთუოდ ზადია – ფეხკავშაა.

არზაყანი – მაშ, ცხენს სითეთრე არსად უნდა ჰქონდეს, პატენი გვანჯი?

გვანჯი – მოთეთრო არ უნდა ჰქონდეს კაი ცხენს, მახარია. არის მოჭრელო ცხენიც, სპარსნი აშხამს უწოდებენ. ამგვარი ცხენის შენახვა სირცხვილად ითვლება ჩვენში.

არზაყანი – თქვენ გგონიათ, არაბია აშხამია?

გვანჯი – ჰმ, აშხამი? აშხამი კი არა... ასე უნდა, ბიძი, ასე უნდა, შენს გაზრდას. მეც ასე ვიყავი შენხელობისას. ჩემი ცხენის აუგი ვინმეს რომ გაებუნა ჩემთვის, ან მე ვიქნებოდი ამ ქვეყანაზე, ან აუგისმთქმელი. ეს ქვეყანა შურიანია, ბიძი, ჯიშთანს ყველა ავინებს. თუ სხვისი ცხენების გინება გაიგონო, იცოდე, ი ცხენები კაი ცხენებია, მახარია. თუ ვაჟკაცს ბევრს ავინებენ, ი ვაჟკაცი უთუოდ კაი ვაჟკაცია. მარა უნდა გითხრა, ბიძი, შენ ვერ ინახავ ამ ცხენს როგორც წესია.

არზაყანი – მივხედავ, რაც შემიძლია. *(ვაღის)*

გვანჯი – ჰაი **დედაშენს**, შენ უნდა იჯდე მაგ ცხენზე და მე ფეხით დავბუქებულვარე ამ სიბერეში? *(თამარი, თარაში და კაროლინა)*

თამარი – საოცარია, როგორი მოურიდებელი ჭკვრეტა იციან ჩვენში, ალბათ, არსად ასე მოურიდებლად არ უცქერიან უცნობს, როგორც საქართველოში.

თარაში – ფრანგებს ჩინებული თქმა აქვთ: თქვენს თვალებს მოუარეთო, რადგან შემოხედვა ზოგჯერ ისეთივე უადგილოა, როგორც უცნობთან გამოლაპარაკება. შესაძლოა ეს იმისი ბრალი იყოს, ჩვენში ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებიდან ახლად ჩამოსულები არიან. ურიგო შემოხედვა სულს ამღვრევს და საიდუმლოს არღვევს.

თამარი – ეჰე, დაიწყე ახლა შენებური პარადოქსები.

თარაში – უპარადოქსო აზროვნება უმარტილო თევზით უგემურია. მხოლოდ მოსაწყენ ადამიანებს სჩვევიათ გატკეპნილ ჭემმარიტების ღეჭვა. მაგალითად, ყოველმა რეგვენმაც კარგად იცის, წყალი რომ თავდაღმართს მიჰყვება, ან წვიმის მოსვლაში ქოლგებს რომ არავითარი ბრალი არ მიუძღვით.

თამარი – სად დაიკარგა ნეტავ დაბული? აკი მეუბნებოდა, გამომიარეთ, შინ დაგხვდებითო. შინ არ დაგხვდა, არც ამბავი დაუტოვებია.

დაბული – *(შორიდან)* თამარ! *(თარაშს მიეჭრა)* თარაშ!

თარაში – როგორი დიდი ქალი გამხდარხართ. მე სულ პატარა დაბული მახსოვხართ, ძალიან დაქალბულხართ.

დაბული – გახსოვთ, დაბულიას რომ მეძახდით, თარაშ?

თარაში – განა მართო დაბულიას? კიდევ გერქვათ რაღაც სახელები, მოიცათ, მოვიგონო... დაბრას, დიას, სორდიას და კიდევ...

დაბული – დიას არზაყანი მეძახდა.

თარაში – დაბრას?

დაბული – დაბრას თქვენ.

თამარი – რატომ გეძახდა არზაყან დიას?

თარაში – დიას ზომ ჩემს ძიძას, არზაყანის დედას ვეძახოდით.

დაბული – თამაშობისას ვითომ მე ვიყავი დედა.

თარაში – ის როგორ იყო,ოქუშში რომ იღრჩობოდით და არზაყანმა ყვინთვით გამოგიყვანათ?

დაბული – დედოფალა რომ მომპარეთ და ნიგვზის ქვეშ დამარხეთ?!

თარაში – ენას რომ იტყვდით ქართულის სწავლისას...

ძაბული – საყდარშია თეთრი მტრედი, ფრთა თეთრი და ფრთაფარფატი.

თამარი – ვაიმე, შარდინ აღშიბაია.

ძაბული – რა დაუხურავს მაგ დალუპულს. *(შემოდის აღშიბაია)*

შარდინი – კაი გამარჯობა! *(ქალებს თავი დაუკრა, თარაში განზე გაიყვანა)* რას შვრება იაპონია?

თარაში – რაო?

შარდინი – მე რას მიძალავთ. შეგიძლიათ, თამამად მენდოთ. არ იცით?

თარაში – იაპონია? არაფერი ვიცი, სწორედ მოგახსენოთ.

შარდინი – გაზეთებს არა ჰკითხულობთ?

თარაში – უკანასკნელ ჟამს მორიგი საშუალოთი ვარ გართული... გარდა ამისა, თბილისიდან გაზეთები იგვიანებენ...

შარდინი – ოო, დიდი, დიდი ამბებია. იაპონია არ ხუმრობს. გუშინდელ გაზეთებში იაპონიის ნოტაა.

თამარ, ძაბული – არაბია! *(შემოდის არზაყან)*

შარდინი – ოო, არზაყან, ახლა შენი ცხენის ქებაში ვიყავი სწორედ. *(თარაშს)* თუ გინდა ეს ცხოვრება იოლად გაათრიო, ყოველ კაცს ის უნდა უთხრა პირში, რაც ეამება. ხოლო რაც მას არ ეამება, ეს მის მტრებს უნდა შეატყობინო.

არზაყანი – სალამი ყველას!

თარაში – იცი, არზაყან, დიდებული ცხენია, შენმა მზემ, მაგრამ ესაა – ფეხკავშაა.

არზაყანი – ფეხკავშაო? რა ვუყოთ მერე... ეს გვანჯ აფაქიძემაც შენიშნა, მაგრამ თვით გვანჯმაც კი აღიარა: უეჭველი ჯიშიაო.

თარაში – ჯიშიაო? გაგიხარია, რომ ჯიშია... თუ ეს ჯიში არაა, მაშინ ენგური აღმა მინავალა.

არზაყანი – ცოტა ავჩქარდეთ, თორემ გერულავას უჩვენოდ დაიწყებენ.

ავტორი – არის ერთი დღე, ხანაც ერთი წელი საუკუნოთა უწყვეტელ მიჯნებზე, როცა ძველისა და ახლის შორის მზღვარის დასადებად, ადამიანები ან დიდ ომს გადაიხდიან, ან დიდ ზეიმს. მე მგონია, სწორედ ასეთი იყო ის დღე, რომელსაც მე აღვწერ ჩემს რომანში, სახელდობრ 1931 წლის მაისის სამი.

გვანჯი – ჰაი გიდი, განსვენებული პაპაშენი თავის ამალით რომ მოიყვანდა თავის ჯიშთან ცხენებს. მასსოვს, ჩიჩილაკივით თეთრი მოხუცი ყორნისფერ ულაყზე მჯდარი რომ შემოაგელვებდა

ცხენს. როგორ გადაბრუნდა დროება. ამ ორას მხედარში არც ერთი შარვაშიძე, არც ემხვარი, არც აფაქიძე და არც დალიანი არ ურევია.

თარაში – მაშ, ვინაა ეს მხედრები?

გვანჯი – ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს: ამიჭბა, აკირთა, აშხვაცავა, ტარბა, ესვანჯია... მალაზონია, გვიჩია, ეგერ ხომ ხედავ, შენი ძიძაშვილი არზაყან ზვამბაია... მოდი, მახარია, შენც მიიღე მონაწილეობა.

თარაში – მერე ცხენი სადაა?

გვანჯი – ცხენს ახლავე გიშოვნი, მახარია. ერთი ლაკირბაია ჩამოვიდა ოქუმიდან. ენგურზე გასვლისას გაცივებულა და მე წამოვიყვანე იმისი ცხენი. იმას მოგგვრი.

თარაში – მე რომელი ცხენოსანი მნახეთ?

გვანჯი – ემხვარი ხომ ხარ?

თარაში – განა მართო ემხვარობა კმარა? არც ცხენოსნობა მისწავლია.

გვანჯი – ერთი მითხარი, ვინ ასწავლა არწივს, მახარია, ლაყვარდში ფრენა, ან ვის უნახავს, ორაგულს ცურვის გაკვეთილებს რომ აძლევდნენ? თუ გიყვარდე, თარაშ, მამის სულს გაფიცებ, ნუ იუკადრისებ. ამ ჩემს ჭაღარას ეცი პატივი და გადი ღოღში.

თარაში – ძია გვანჯე, მამის სულს გეფიცები, ამპარტავნობით არ მომდის. ცხენი ძალიან მიყვარს, მაგრამ ისეთი ცხენოსანი არა ვარ, საუკეთესო მოჯირითეებს შევეჯიბრო. არსად მონაწილეობა არ უნდა მიიღოს კარგმა ვაჟკაცმა, სადაც დიდი ცოდნა არა გაქვს და დარწმუნებული არა ხარ, რომ პირველობას მოიხვეჭ.

კაროლინა – თუ დაგამარცხებენ, მერე რა? ერთბაშად დოქტორის ხარისხი არ ჩამოგართვან. ახალგაზრდა ხართ, თქვენც ხომ არ გინდათ იმ ინტილიგენტებს დაემსგავსოთ, ერთი ადლის სიმაღლეზე რომ ვერ გადახტებიან და ამას თავის მოუხეშაობით როდი ხსნიან, არამედ სიღარბაისლით.

თარაში – არა, კეთილო ფრაუ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მე დღეს სასპორტო კოსტიუმიც კი არ მაცვია. სად გაგონილა, გრძელშარვლიანი კაცი რომ ცხენზე მჯდარიყოს? აწი მე რომ შინ წავალ და გადავიცვამ, ამასობაში დოლიც გათავდება.

გვანჯი – შენ მაგას ნუ წუხარ. ახლავე გავვზავნი ჩემ ბიჭს, ჩემი უფროსი ბიჭი სწორედ შენი ტანისაა, მაგის ჩოხას მოვატანინებ და ხელად გადაიცვამ. სასტუმრო „ოდიში“ დამელოდე.

კაროლინა – კარგია. მართლაც, ერთი ვნახოთ, ჩოხა როგორ დაეშვენლებათ. არა, თამარ?

თამარი – ძალიან საინტერესოა.

თარაში – კარგი. *(კაროლინასთან ერთად გადის)*

გვანჯი – კარგი ბიჭია თარაში, მაგრამ ესაა – ემხვარია.

თამარი – მერე რა, ემხვარი რომაა?

გვანჯი – შენ არ იცი, ემხვარი და შარვაშიძე რომ მუღმივი მტრები იყვნენ?

თამარი – ეს როდის იყო? გარდა ამისა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მე სავსებით უბრალო, მეგობრული დამოკიდებულება მაქვს თარაშთან.

გვანჯი – მე რას მატყუებ, ნათლია ვარ შენი. დაბეჯითებით ამბობენ... თარაში კარგი ვაჟია, მაგრამ... ასე ამბობენ, მახარია, არზაყანის დანიშნულიაო. თავი არ მოგვჭრა, გოგო, მთლად არ წაუშწარო ბედშავ მამამენს ისედაც გაძალღებული ცხოვრება. ჩემი საქმე სხვაა, ოჯახი თავზე მენგრევა. ჩემი სასიძო არლანი დიდი კაცია, რაიკომის მდივანია. ბევრი ვებრძოლე ჩემს ქალიშვილს, სახლიდან გვაგაღე ორჯერ, მაგრამ საწინდარი მიცემული ჰქონია. და აფხაზები არ შეგარჩენენ. მთელი არლანების გვარი ფეხზე დადგა. სხვა დრო იყოს, გაგიხარია, არლანები ირიბად შეხედვასაც ვერ გაუბედავდნენ ჩემს შვილს. ახლა მე უკვე ჯანზე აღარა ვარ, გამტეხეს, ბაბა, ამ შეჩვენებულებმა. შენ კი ნუ იზამ, ბაბა, მაგას. არზაყანი თავხედია, აბუხარი, ფრიად თავმოთნე. ასეთი კაცი საშიშია, რადგან თავმოყვარეობას თვისას მთელ ქვეყანას ანაცვალებს. ამის გამო რამდენიმე შენიშვნა მიღებული აქვს უკვე პარტიისაგან; დღეს თუ ხვალ მოხსნიან მაგის პატრონს ჩალმაზსაც. არზაყან ჩალმაზის კაცია, ჩალმაზი კიდევ სხვისი კაციაო და კაცის კაცი რალა იქნება.

თამარი – არც თარაშ ემხვარს მივეყვები და არც არზაყანს, რა დროს გათხოვებაა?! ეს დაბა ჭორიკანა ხალხითაა სავსე. თვე ერთია და ჩემდა უკითხვად შვიდჯერ მათხოვებენ... *(პაუზა)* რომელი ფერის ცხენი სჯობია, ნათლია, ყველას?

გვანჯი – ყველა ფერის ცხენზე ულამაზესი რასხი ფერისაა.

თამარი – მაშ, არაბია კარგი ცხენი ყოფილა, ნათლია.

გვანჯი – გაგიხარია, შვილო, კაი ცხენი იყოს არაბია, მაგრამ კაი საქონელს კაი მომვლელი უნდა. არზაყანი მუდამ კრებებზეა და კრებებზე მოარული კაცი ცხენს როგორ მოუვლის. ცხენს

შვილზე მეტი მოვლა უნდა, მახარია. გარდა ამისა, არაბია ფეთიანია. მოკლავს მაგ უბელურს როცა იქნება.
ავტორი – გვანჯ აფაქიძე გაწბილდა: დიდმარულას პრიზი საზიაროდ ერგო არზაყან ზვამბაიას.

მეოთხე ეპიზოდი

თამარი – გამარჯვება გერგო, არზაყან! არაბია სად დატოვე?
არზაყანი – მე? წინააღმდეგ, სასტიკად დამამარცხეს.
თამარი – თავმდაბლობა ვაჟკაცების წესია. როგორ თუ დაგამარცხეს, აშხვაცავას ხომ აჯობე?
არზაყანი – შენ სად იდექი?
თამარი – მე და ძაბული მუხის ნამორებზე ვიდექით.
არზაყანი – ყველაფერს ხედავდით?
თამარი – ყველაფერს.
არზაყანი – განა მარტო აშხვაცავას ვაჯობე?
თამარი – აშხვაცავას, დოლაბერიძეს, ვაჩნაძეს და სხვებს. *(ბაუზა)*
კაცმა რომ სთქვას, ნაწილობრივ თარაშსაც.
არზაყანი – თუ შინ მიდინხარ, გაგაცილებ. დაბნელდა უკვე.
თამარი – რა იქნა ნეტავი ძაბული და თარაში? დიდი სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს და სულ ბავშვობას იგონებდნენ.
(წაბორძიკდა)
არზაყანი – ფრთხილად!
თამარი – ლუკაია მიმტკიცებდა ხუთმეტ მისამდე მთვარიანი იქნებო და ისე ბნელა, რომ...
არზაყანი – მოკლე გზით წავიდეთ...
თამარი – კი, ბატონო.
არზაყანი – მამა ამბობდა, ამ ველზე ოდესღაც დადიანისეული სანადირო ტყე იყო, გაუვალი ჭაობები, ლისი, ლაქაში და უნაყოფო ეწერი. ამ დროს აქ შეიარაღებულ ცხენოსანსაც გაბდღვნიდნენ მგლები. ახლა ჩვენ ჩაის პლანტაციებს ვაშენებთ.
თამარი – რა საუცხოო ცხენია შენი არაბია. გკითხე, სად დატოვე-მეთქი და არ მიპასუხე... ლუკაიამ თუ ნახა შენი ცხენი?
არზაყანი – რაღაც მეუცხოვება ეს ძეწნები. მგონი, მხარი ავკქცევია, ეს ქაცვებიც როგორ იფხაჭნებიან. მოდი, დაებრუნდეთ და ლიანდაგებს გავეყვით.

თამარი – ასე შორია... ამ ხილნარს გადავივლით და ჩემი სახლიც გამოჩნდება.

არზაყანი – თხრილი როა?

თამარი – ლუკაიას დაუძახებ და რამე ფიცარს გაგვიღებს თხრილზე. თუმცა მამაჩემი აივანზე იჯდება ჩემს მოსვლამდე, გაიგონებს და გამიწყდება, შენთან რომ მნახავს.

არზაყანი – ფიცარი რად გვინდა? აგერ, ვიწრო ყელია. გადავიყვან. *(თამარს ბავშვივით აიტაცებს, ვაღმა გადაასკუპებს, თან გადაყვება და გაშმაგებით დაუწყებს კოცნას)*

თამარი – *(ვონს მოვა)* არზაყან, რას შვრები? *(გაექცა. არზაყანი დაეწია)* მამას დაუძახებ, იცოდე! *(არზაყანმა ტუჩებში აკოცა. თამარმა მოიწმინდა მის მიერ ნაკოცნი ტუჩები. არზაყანს ეყვინა, ხელი შეუშვა. თამარი გაექცა. მოისმა ძაღლების ყეფა და ლუკაიას ძახილი: სისა, ჰო... სისა, ჰო!! გაქცეულ თამარს რაღაც დაუვარდა, არზაყანმა მიიბრინა, აიღო: ლალებითა და ბრილიანტით მოოჭვილი ძეწკვავაწყვეტილი ჯვარი)*

არზაყანი – ჯვარი დავარდნია... თამარ! *(ჯვარი გულის ჯიბეში ჩადო)* ნეტა ამხანაგებს წავყოლოდი საქეიფოდ. ან ჩაღმაწს ვხლებოდი... ან ძაბულის... რაო, თამარმა? ძაბული და თარაში მხიარულად შეხვდნენო?... აბა, ვნახოთ... *(ძაბულის სახლს მიადგა)* ძაბული! ძაბული! *(კარი შეაღო. ძაბული ლოვინში წევს. წივს კითხულობს)*

ძაბული – არზაყან! *(არზაყანმა სკამი სასთუმლოთან მიიღვა და ძაბულის მიუჯდა)* რა მოგსვლია? ლოყები და ცხვირის კეხი სულ მთლად გასისხლიანებული გაქვს. საკინძეც განზე მოგქცევია!

არზაყანი – ცხენი დამიფეთდა, ბარდებში გადამიყოლა და ეკლებმა დამკაწრეს.

ძაბული – ცოტა ხანს მეორე ოთახში გადი, ავდგები, ჩავიცვამ და ვახშამს მოვიშადებ, გეშეება.

არზაყანი – ესეაა სასტუმრო „ოდიშში“ ვივანშმე ტოლებთან. სულ მალე წავალ. და მერე ისევ იკითხე.

ძაბული – თუნგი აიღე და პირი მაინც დაიბანე.

არზაყანი – *(დიდხანს იბანს ცივი წყლით პირს. ცივმა წყალმა ხალისი მოუბრუნა)* რად გინდა, ქალო, ამხელა თმები? მე ჩემს თმებს ძლივს ვივარცხნი. არ გეზარება ამოდენა თმის ვარცხნა და ბანა?

ძაბული – ღღეს თარაშ ემზვარი გვეუბნებოდა მე და თამარს, თმები არასოდეს შეიკრიჭოთო. ქალის გარყვნა თმის შეკრეჭიდან

იწყებო. ჯერ თმას შეიკრეჭავსო, მერმე პაპიროსის წვეას დაიწყებს, მერმე ღვინის სმას და აქედან ყოველმხრივ გზა ხსნილიაო.

არზაყანი — თმას რა ჭკუა აქვს? გრძელი ნაწნავები ძველ ქალებს თან უნდა გაეფალოსო. ჩვენ თანამედროვე ქალი გვინდა. ესაც არ იყოს, შენ ძალიან მოგიხდება თმის შეკრეჭვა. *(ძაბულის თმებს მოეჭიდება. ძაბულიმ საბნიდან ხელი გამოიღო, თმა გამოვლიჯვა, წივნი დაუვარდა)* ეს რა წივნია?

ძაბული — ამ წივნიში ორი ერთმანეთზე გადაკიდებული წარჩინებული გვარისშვილის ამბავია საშუალო საუკუნის იტალიის ცხოვრებიდან. კაპულეტისა და მონტეკის გვარები მრავალი საუკუნის მანძილზე ერთმანეთს მტრობდნენ, ხოცავდნენ და ანადგურებდნენ. მერე კაპულეტის ვაჟს მონტეკის ქალი შეჰყვარებია. და რაკი მათი შეუღლება შეუძლებელი იყო, ერთ მთვარეან ღამეს კომეში ჩაკეტილან, გათენებადღე ღვინო უსვამთ, უკანასკნელი სიყვარულით დამტკბარან და მერე ღვინის ფიალები შხამის ფიალებით შეუცვლიათ.

არზაყანი — მაშ, ხანგრძლივ მტრობას სიყვარულისკენ მიჰყავს ადამიანი? ვინ მოგცა შენ ეს წივნი?

ძაბული — ვინ მომცემდა? თამარმა მათხოვა, მალე წაიკითხე, თარაშ ემხვარს უნდა ვათხოვო. თამარს დავუბრუნებ, მერე ისევ გამოვართმევ და შენ გათხოვებ. თარაში ძალიან დავაჟაკცებულა და დამშვენებულა.

არზაყანი — როგორც სჩანს, მოუხიბლიხარ!

ძაბული — რას ამბობ, არზაყან! თარაში ბავშვობის ამბებს იგონებდა, დიას რომ მეძახდით.

არზაყანი — მაშ თარაშ ემხვარი ისე წაგჩვევია, რომ სიყვარულზე გელაპარაკება?

ძაბული — რა გემათება, არზაყან? რად ამბობ მაგას? ასეთი რამ არც უკადრებია. თარაშმა მხოლოდ ის მოიგონა, დიას რომ მეძახდით ბავშვობაში.

არზაყანი — მაშ, თარაშს შენ არ გამოუცილებიხარ? რომელი გზით მოხვედით?

ძაბული — მე ვეღარ გცნობილობ, არზაყან, ვინ თქვენ? რომელი გზა? მე ბევრი გემებეთ, ვერც თამარი ვიპოვე და ვერც შენ. ამბობდნენ, თარაში ცხენოსნებს წაჰყვა ენგურზე, ცხენები უნდა ვაბანავოთო.

არზაყანი – მაშ, თარაშ შენ არ მოგყოლია? მაგას ვერ დაგიჯერებ, დაბული!

დაბული – დედის სულს გეფიცები, მართალს ვამბობ. *(ატირდა)*

არზაყანი – *(ცრემლებმა გული მოუღობო, ლოვინზე ჩამოუვცდა, თავზე ხელი გადაუსვა, სახე შეუქისკენ მოაქცევინა. მივარდა, კოცნა დაუწყო)* დედის სულს გაფიცებ, გევედრები, მითხარი, გაკოცა? თარაშმა გაკოცა? ოღონდ მართალი მითხარი და ყველაფერს გაპატიებ.

დაბული – დამშვიდდი, დაწყნარდი. გეფიცები, თარაშ ემზვარი ბავშვობის შემდეგ დღემდის ახლოსაც არ მინახავს. ხოლო მას შემდეგ, რაც მარულაში მონაწილეობის მისაღებად ცხენზე შევჯდა, არც დამლაპარაკებია

არზაყანი – მოგკლავ, იცოდე! *(თან გაძუდებით ჰკოცნის)* ცოცხალს არ გაგიშვებ. ჩემი ხელით გამოგლადრავ ყელს. *(დაბული ალერსს დანებდა, არზაყანმა მკერდზე მიიკრა, აკოცა და...)* თამარ... *(დაბული გველნაკებენივით წამოიჭრა, მეორე ოთახში გავარდა ნახევრადშიშველი და მკვრად გადარაზა კარი. ვონებაარეული არზაყანი ბარბაცით გავიდა ვარეთ. პაუზა. რამდენიმე კაცი შემოხვდა)* თარაშ! სად ყოფილხართ ამ შუალამეს.

თარაში – ცხენოსნებს წავეყვი ენგურზე. ცხენები ვაბანავეთ!

მეზუთე ეპიზოდი

ავტორი – დოდის გათავების შემდეგ დიდძალი ხალხი დაიდრა ილორისკენ. გვანჯ აფაქიდის ქალიშვილის ქორწილში, აფხაზურ ქორწილში, მარტოოდენ ნათესავნი და მოკეთენი როდი მიდიან, არამედ ყოველი კაცი, ვისაც ქეიფი და სანახაობა მოესურვება. ამგვარი მოუწვეველი სტუმრები უფრო სანუკველია. ნამდვილი სტუმრები ესენი არიანო, ასე ამბობენ აფხაზები. და ხარობს მთელი გვარი, რადგან აფხაზეთში მთელი გვარი თხოულობს და ათხოვებს ქალს, გვარი იხდის ქორწილსა და ქელეხს.

გვანჯი – მოკლავს მაგ უბელურ არზაყანს ე ცხენი. შენი მამამძუძეს შვილია, ურჩიე გაყიდოს...

თარაში – მაგას როგორ ვურჩევ, ძია გვანჯ, იმ კაცს ხელისუფლებამ ცხენი აჩუქა მამაცობისთვის და როგორ შეეღება? ურა

ცხენზე ჯდომაა სიხარული, თორემ თვინიერი ჯავლაგი რა სანატრელია?

გვანჯი – ურა ცხენს ურა ვაჟკაცი უნდა, მახარია.

თარაში – რა ცუდი ვაჟკაცია არზაყან, ძია გვანჯ?

გვანჯი – ეჰე, შენი არ მიკვირს?! ზვამბაიას ვაჟკაცობა ვის გაუგონია? მაგხელა რომ ვიყავი, მაგისთანა ვაჟკაცებს მტკაველობით ვყიდდი.

თარაში – რამდენი წლის იქნებით, ძია გვანჯ?

გვანჯი – მე არასოდეს არავის ვუმხელ ჩემს წლოვანებას.

თარაში – რატომ, გვანჯ ბატონო?

გვანჯი – სიბერე, სიკვდილი, შიში და სიმშილი ხსენებისაგან ხლებიან საცნაურ. მათი ხსენება არ ვარგა, მახარია. *(ლუკაია შეძობვდათ)*

თარაში – შენ რამ მოგიყვანა აქ, ლუკაია?

ლუკაია – ჩვენებს მოგყევი.

თარაში – ვინ ჩვენებს?

ლუკაია – ოქუმელებს. ცოტა ჩამომრჩნენ...

არზაყანი – *(თამარს)* სად იყავი აქამდე, ასე თუ გიყვარდა ცხენზე ჯდომა?

თამარი – განა ცხოვრება ისეა მოწყობილი, ყოველი სურვილი რომ აისრულოს კაცმა.

არზაყანი – უნდა ეცადო, ისე მოაწყო შენი ცხოვრება, რომ სურვილებიც იოლად ავიხდეს.

თამარი – ეგ სად წავგიყვანდა მაშინ...

არზაყანი – წამოხვალ ოქუმში, კარგი ცხენი რომ გიშოვო?

თამარი – გააჩნია, შენ რას გიქვია კარგი. არაბიასდარი მე რათ გამომადგება. აი, ახლა რომ ვზივარ, ისეთი.

არზაყანი – სწორედ ამ ცხენს მოგიყვან.

თამარი – აგვისტოს თხუთმეტს თბილისში მივდივარ. თუ წინა კვირას ცხენს ჩამოიყვან, ოქუმში წაგყევი.

არზაყანი – თბილისში მეც მინდა წასვლა. ინსტიტუტში საბუთები უნდა წარვადგინო.

თამარი – ძალიან კარგი იქნება. სწორედ თარაშ ემხვარიც მოდის ვკონებ თბილისს და ერთად წავალთ. ვიჩქართ, დავეწოთ გვანჯ აფაქიძესა და თარაშს. ილორი, ილორი! ბნელა, მაგრამ ილორის ჯვარი მაინც მოჩანს ვარსკვლავებით დახუნძილულ ცაზე. ჯვარი! *(მკერდზე დაისვა ხელი)* ვუიძე, დედაჩემო!

კაროლინა-ძაბული – *(შემოეხვიენენ)* რა მოვივიდა?

თამარი – მგონი, ჯვარი დაკარგე.

ძაბული – ჯვარი სად დაიკარგებოდა. ალბათ, კომოდში გაქვს შენახული.

კაროლინა – შენ ხომ დაწოლის წინ იხსნი და სასთუმალ ქვეშ ინახავ. მსახური დაშა ნახავდა უთუოდ. დაშა მრავალი წლის ნაცადი გყავს, თავის დღეში არა მოუპარავს-რა და რაღა იმ ჯვარს წაიღებდა.

ძაბული – დამშვიდდი... დამშვიდდი...

თამარი – რა დამამშვიდებს.

ავტორი – ბნელოდა, მაგრამ ლუკაია ლაბახუას ყველა ამჩნევდა. თუმცა ძველები მას არად ავლებდნენ, ახალგაზრდებს ეუცხოვებოდათ გადასულ დროებიდან გადმონატყორცილი სასაცილო გოჯილა. და ასე დაწრიალებდა ამ მთვარიან ღამეში ლუკაია ლაბახუა – ეს ძველი ღამურა ახალ დროში.

პირველი ახალგაზრდა – ლუკაია, თარაშ ემხვარი მარანშია და გეძახის.

ლუკაია – აბა, სად არის თარაში?

მეორე – ხატები რა უყავი, ლუკაია?

ლუკაია – არ ვიცი. გაჩერდი, ბიჭო, დედის სული ნუ წაგიწყდება.

პირველი – საიდან გაჩნდი აქ ლუკაია. კონტრეველოციონერებს ჩამოყევი?

ლუკაია – აჰ, აჰ, არა. ოქუშელებს.

მეორე – მოდი, ღვინო დაგვილიე.

ლუკაია – ღვინოს არა ვსვამ.

პირველი – ეგ რა პასუხია? თუ ღვინოს არა სვამდი, ქორწილში რას მოდიოდი? მაშ, ნეფე-დედოფალის ცუდი მეფეხური ყოფილხარ.

ამ ოჯახის დაქცევა გდომებია.

ლუკაია – დედის სულს გეფიცებით, *(პურის ნატეხი აიღო)* ამის მადლმა, ღვინოს არა ვსვამ. მომასვენეთ ცოტა.

მეორე – არა გეჯერა.

ლუკაია – ილორის მადლმა, არა ვსვამ.

პირველი – ილორის მადლმაო? *(ბიჭები ახარხარდნენ)* ილორი სადღა არის, შენი ხარიპარია წმინდა გიორგი გაქცეულა. *(ამით შეძრულ ლუკაიას მუხლი მოეკეცა, ჩაჯდა. ბიჭები დააცხრნენ. სავსე ყანწი ძალით შეასვეს. მერე მეორე და მესამეც. მერე შეეშენენ, ლუკაია ბარბაცით თარაშს მიადგება)*

თარაში – აი, ლუკაიას ეცოდინება. ახლა ამაზე ვკამათობდით, ლუკაია, რამდენი წლის იქნება ეს ზღვისპირა კოშკი?

ლუკაია – აჰა, რა სთქვი, შურიგე?

თარაში – ეს ციხე რამდენი ხნის იქნება-მეთქი?

ლუკაია – ეს კოშკი, შურიგე, ალბათ, იმ მთვარესავით ძველია. დედაჩემი გაყიდეს ამ კოშკში. მე სულ ერთი ციდა ვყოფილვარ, აქედან რომ გამოვუყვანივართ, შურიგე.

თარაში – ილორში თუ ყოფილხარ?

ლუკაია – ილორში თუ ვყოფილვარ? ილორში შვიდი წელი მნათედ ვიყავი. ჩემი ტარიელ ჰატენი აქ სწირავდა წინათ, ვიდრე დეკანოზობას მიიღებდა. ვინ იცის, რამდენ ათას კაცს გადაუვლია ჩემს ზურგზე გიორგობის დღეს.

თარაში – როგორ თუ გადაუვლია? რას ამბობ, ბენა ლუკაია?

ლუკაია – რას ვამბობ, შურიგე? მე ილორის შეწირული ვიყავი მაშინ. თავქვე დავემხობოდი ტაძრის შესავალთან. დიდი და მცირე გადამჯეგავდა და ისე შედიოდნენ ილორში. მორწმუნე არა გრძნობს ტკივილს, როცა ღვთაების ზვარაკი გახდება, შურიგე. მაგრამ ჩემმა ცხოვრებამ ისე ჩაიარა, დიდი და მცირე ჩემს ზურგზე გადადიოდა, შურიგე.

თარაში – რათ სდუმხარ ასე; ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ ეს უხერხულია საზოგადოებაში.

თამარი – მე საზოგადოების აზრს ნაკლებ ვუწევ ანგარიშს. თავი მტკივა და რა ვქნა?!

თარაში – ადექი, გავიაროთ ცაცხვებისკენ.

თამარი – როგორ ცაცხვებისკენ?

თარაში – ილორის ეკლესიის ცაცხვებისკენ.

თამარი – რას ამბობ, თარაშ. ახლა აქედან რომ ავდგეთ, რას იტყვიან?

თარაში – გარწმუნებ, მაგ ხალხის აზრს იმ ცაცხვებისათვის ერთხელ თვალის შევლება სჯობია.

თამარი – ვერ წამოვალ.

თარაში – *(კაროლინას მოურიდებლად ხელი წაავლო. თამარის გასაკონხად)* ნუთუ არ დაიქანცეთ? ავდგეთ, გავისვირნოთ.

კაროლინა – სიამოვნებით. ეგებ, თამარიც წამოვიდეს.

თარაში – მე მას ვთხოვე და უარი სთქვა. *(გაივლიან)*

კაროლინა – თქვენ ძლიერ სასტიკად ექცევით თამარს.

თარაში – სასტიკად?

კაროლინა – გამოტყდით, მე თვალყურს გადევნებთ. ცოდვას თქვენებური ქალი. ტირანები ხართ, სულერთია, მამა იქნებით, საქმრო თუ ქმარი. თქვენ არ იცით, რა მოითხოვთ ქალისაგან. თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახაპაო, იტყვი; თუ თავი შეიკავა, პურიტანიაო. თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენი ქალები ორ ცეცხლს შორის არიან. აგერ, ორიოდ ფეხის ნაბიჯზე ჩადრია და ჰარეში. თქვენ უკიდურესი აზიელის და ევროპელის კაპრიზები ურთიერთში გაქვთ არეული: როცა ქალი საყვარლად გინდათ, მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიხდით, მერე აზიურ ჩაკეტილობას.

თამაში – რატომ ამბობთ ამას, ფრაუ?

კაროლინა – აბა, რად არ წამოიყვანეთ ახლა თამარი?

თარაში – გინდოდათ, წამომეყვანა?

კაროლინა – არა, ჩემთვის სულერთია, მაგრამ შევატყვე: ჩვენთან უნდოდა წამოსვლა.

თარაში – მე მას ვთხოვე და უარი სთქვა.

კაროლინა – მან უარი სთქვა მარტოკა წამოსულიყო თქვენთან...
(სათქმელი შეაწყვეტინა თარაშმა და კოცნა დაუწყო)

თარაში – *(როცა ენება დაცხრა, ილორის კოშკისკენ მიახვდა ქალი)* ათასი წელი გადმოგვცქერისო ამ კოშკიდან, ასე მითხრა ლუკაია ლაბახუამ.

კაროლინა – ერთი მიბრძანეთ, თარაშ, ეს უბედური ლუკაია ვინ ჩამოასახლა შარვაშიძეების სახლში.

თარაში – მისი ვინაობა დანამდვილებით არავინ იცის. ერთნი ამბობენ, ლუკაიას დედას თამარის ბაბუა მანუჩარ შარვაშიძე ჰყვარობდაო, ფენმძიმედ შექმნილაო და სწორედ მაშინ მაჯაპირებს გაუტაცნიათ და აფაქიძისთვის მიუყიდათ. მანუჩარს აფაქიძეებისგან გამოუსყიდია. როცა წამოზრდილა ლუკაია, ტარიელს მეღავთინედ აუყვანია. ღმერთო შეგცოდე და იმასაც ამბობენ... *(პაუზა)*

კაროლინა – რას ამბობენ, მითხარით...

თარაში – სულცხონებული ჯახანა შეჰყვარებია, ახალმოყვანილი, ალბათ, გაგიგონიათ, ჯახანა ღმერთივით ქალი ყოფილა და ამ სიყვარულისგან შექანებულა ის ბედლამწვარი. სხვანი კიდევ სხვას ამბობენ. მანუჩარი ღვთისრისხვა კაცი ყოფილა და რა გაიგო, ნაყმების შეიღმა ჩემი რძლის შეყვარება გაბედაო, უბრძანა საბძელში ჩაეკეტათ ლუკაია. მერე ცეცხლი წაუკიდესო

თურმე საბძელს. ლუკაია სახურავზე ამძვრალა, გადმომხტარა და შიშისგან ჭკუაზე შეცდაო. ჯახანას სიკვდილის შემდეგ ლუკაია ამ ოჯახს ველარ მოცილდა, გარდა ამისა, თამარი პირწავარდნილი დედა და ამიტომაც არ შორდებო ამ ოჯახს, ტარიელს დღესაც ვერ უპატიებია ლუკაიასათვის ეს ამბავი.

გვანჯი – აქ მოდი, ჯოტო გვასალა. უნდა გითხრა რამე.

ჯოტო – რა იყო, გვანჯ ბატონო?

გვანჯი – მოგეწონა, ბიჭო?

ჯოტო – ვიზე ამბობ, გვანჯ ბატონო?

გვანჯი – ვითომ არ იცი, შენმა გაგლეჯამ.

ჯოტო – ოო, თამარი? მირონის გოგოა. ეშმაკს მიყვიდი მაგისთვის სულს.

გვანჯი – ჩემი ნათლული გახლავს.

ჯოტო – მერმე რა?

გვანჯი – მერმე და ახლა შენზეა საქმე. სატევარს მაგრად უნდა მოუჭირო ხელი. ღვინოში შეიყოლიე, აფხაზური ღველი – „ხინტკირია“ ვითამაშოთ-თქო. ორიოდე გოჯს შეუშვებ არზაყანის მარცხენა ძუძუს ქვეშ და...

ჯოტო – თუ მარტო ესაა, არაფერია, ისედაც მწყუროდა არზაყანის სისხლი. მაგას შეეჭამ, მაგ ღორის დასძულს.

გვანჯი – ადე, საქმეს ვეწიოთ! აბა, წრე შეჰკარით, ახლა ხვინტკირია უნდა ვითამაშოთ.

ჯოტო – წილის ყრა არ მინდა, ვინც ვაჟკაცია, თვალახვეულს მეფარიკაოს. (*ჯოტოს თვალები აუხვეის*)

არზაყანი – თავპირახვეული უფრო ლამაზი ყოფილა ჯოტო!

ჯოტო – გიცანი... ბიჭი ხარ და გამოხვალ, არზაყან. თვალახვეული შეგებმები.

არზაყან – (*მეზობელს უკითხავად ამოაძრო სატევარი*). აქა ვარ.

გვანჯი – მთვრალია, დაუშალეთ, ნუ ფარიკაობს. (*არზაყანს*) მე თუ გიყვარდე, სატევარს ხელი უშვი.

არზაყანი – თვალი ამიხვიეთ! (*თვალს აუხვევენ, შეებნენ ჯოტო და არზაყან*) ხვინტკირია.

(*უცებ გაისმა ზარების ხმა. იდროვა ჩაღმაზმა ამ აურზაურით, წრე გაარღვია და ძალით მოხადა ჩაბლახი ორივეს*).

(*ლუკაია იღორის ჩამოღამებულ სამრეკლოს თაღის ქვეშ დგას და ზარებს არისხებს*)

ლუკაია – აქ გაიარა ჩემმა სიჭაბუკემ, ამ ცაცხვებისა და ჭადრების

ჩრდილში. ილღორში ცხოვრებაც მახსოვს, მოსაწყენი და გრძელი, როგორც თორმეტი სახარების კითხვა ვნების კვირაში. ახლა ოქუში?.. დეკანოზის ჭირვეულობა... გინება... ლანძღვა და ფეხების ფხანა...

ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ღამევ,
წყეულიმც იყავ,
ხანგრძლივო სიცოცხლევ!

და კრული სიბერე, სხვის სახლში სიბერე... დაცინვა... გვემა...
ნარჩენი ულუფა.

ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ღამევ,
წყეულიმც იყავ,
ხანგრძლივო სიცოცხლევ!

გულში მინთია შურისგების გრძნობა, მაგრამ ვისზე ვიძიო მერმე შური? ეს ქვეყანა არ ღირებულა ნივრის ნაქურცვნად. ღმერთი? რა ღმერთი? დაცლილა ეს უცნაური მიწაცა და ზღვისფერი ციონიც.

ავტორი – როკავდა, რეკავდა ლუკაია ლაბახუა, რადგანაც ლხენა გამოლეოდა ამ ქვეყნად. არც არავის უყვარდა, არც არავინ აფასებდა. მეწყერს წაელო მისი წილი მიწის ნაჭერი, ყველასათვის უცხო და მიუსაფარი, იღვა და რეკავდა სამრეკლოს ბნელ თაღს ქვეშ.

ლუკაია – ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ღამევ,
წყეულიმც იყავ,
ხანგრძლივო სიცოცხლევ!

მეორე მოქმედება მეექვსე ეპიზოდი

ავტორი — ხომ არ მოგეწყინათ, ბატონებო? ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდე. და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები. მესმის თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში. ვლელავ და ვძრწი მათ მაგივრად. ჯერ მეც არ ვიცი, მათ რა მოუვათ. თამარ შარვაშიძე რომელს შეიყვარებს... არზაყან ზვამბაიას თუ თარაშ ემხვარს? ან არზაყანის გული ვის მიენდობა? სათნო ძაბულის თუ თამარ შარვაშიძეს? ტარიელ შარვაშიძე და კაც ზვამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბელდამწვარი ლუკაია ლაბახუა როგორ დაასრულებს ცხოვრების ეტლს? ან გვანჯ რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფაქიძე — „ქრისტეს ფეხის მკვნიტელი?“ ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები.
(ლუკაიას ხმა: ჰე, სისა! ჰე, სისა!)

ტარიელი — რას უყურებ, შე ლენჩო?

ლუკაია — შოშიები მოსულან.

ტარიელი — მერმე შენ რას უყურებ?

ლუკაია — ისინი რაღაცას უამბობენ ერთმანეთს.

ტარიელი — რას უამბობენ, შე გადარეულო?

ლუკაია — ეს მე რა ვიცი, დიი!

ტარიელი — დიი და ზაჰრმარო! სად დაიკარგე, შე ლენჩო, ამდენ ხანს? საქონელი მშიერი დააგდე, ძაღლმა ჭანური გატეხა, ქათმებმა სამზადი აიკლეს, ღორებს ქერი შეუჭამათ.

ლუკაია — სად ვიქნებოდი? სად ვიყავი? სად ვიქნებოდი? დიი!!! სად ვიყავი და ქვირითს ვითვლიდი რიყეზე.

ტარიელი — მერმე რამდენი ყოფილა, შე გადარეულო?

ლუკაია — იმდენი, რამდენიც კენჭია.

ტარიელი — მაშ, კენჭი რამდენი ყოფილა, შე აფრაკო?

ლუკაია — ხუთჯერ მეტი, ვიდრე ვარსკვლავი *(ისევ შოშიებს მიუბრუნდა)*

ტარიელი — მე არად მაგდებ და ისევ შოშიებისკენ იქციე პირი, შე... *(ჯოჯი ესროლა. ლუკაიას ფეხში მოხვდა)* ჩემმა თვალებმა არ გნახოს!

ლუკაია – ვაი დედა! (ლუკაია კოჭლობით გარბის. ტარიელი გულზე იტაცებს ხელს)

ჩაბნელება

მეშვიდე ეპიზოდი

(თამარ, თარაში, კაროლინა, დაშა)

კაროლინა – (დაშას) თამარი ქორწილის პირველსავე ღამეს გახდა ავად. ოჩამჩირის მატარებლით ჩამოვედით. დედამისის ნაჩუქარი ჯვარი დაეკარგა და ამიტომ გახდა შეუძლოდ ზაფრისაგან. მგონი, ჭინჭრის ციებამაც გაუხსენა.

დაშა – არ დაკარგავდა. ერთი კვირის წინად ვხედავდი, სასთუმალთან ელო. მერე თვალითაც არ მინახავს. სიმართლეს გეტყვით, ჯვარისთვის არ მეცალა. ჯერ თათიას შეეყარა ყივანა ხველა. მერე ბაბუა ტარიელმა ლუკაიას ჯოხი ესროლა. ლუკაია გაიქცა. ამასთანავე ბაბუა ტარიელს გულის ფრიალმა წამოუარა, გული შეუღონდა, მე ვეღარ ვზიდე, მეზობლები შევეყარე და ოთხმა კაცმა ძლივს მივიტანეთ საწოლამდე.

კაროლინა – თათიას დავხედავ და ახლავე დავბრუნდები. თამარს მიხედეთ. (გადის) (თამარი კომოდს მივარდა, სწრაფად აღებს და ხურავს უჯრებს.)

თამარი – ვაი, დედა! დედა! დედა!

კაროლინა – (შემოვარდა. დაშას) კარები დაკეტე ირგვლივ. ხუცესმა ჯვარის დაკარგვის ამბავი რომ გაიგოს, უფრო გახელდება. **დაშამ** თუ ვერ ნახა, ლუკაია იპოვნინდა. და თავის „წმინდანების ზანდუქში“ ჩაკეტავდა. განა, შარშანაც ასე არა ჰქნა, როცა პირსაბანზე იპოვა შენი ჯვარი?!

თამარი – შენ პირს შაქარი.

კაროლინა – (თამარს ცივი ტილო დაადო შუბლზე. თარაშს) ეს ის ჯვარია, დედამისის ჯახანას სურათზე რომ არის გამოსახული.

თარაში – (ყახიდად) თამარ, ჯვარის გამო ამდენს რა გატირებს? პატარა თათია ხომ არა ხარ? თუ მორწმუნე ხარ, ჯვარი იმიტომ კი არ უნდა გიყვარდეს, რომ ძვირფასია... ჯვარი სიმბოლოა რწმენისა და სხვა არაფერი.

თამარი – შარშანაც ასე მომივიდა. მე და ხერიპსი თბილისს მივდიოდით, ჯვარი შინ დამვიწყებოდა. ხერიპსს რომ მეორე მატარებლით შინ არ დავებრუნებინე, უთუოდ მოვკვდებოდი.

კაროლინა – ლუკაია მოვძებნოთ და ყოველივე გაირკვევა. თუმცა, კიდევაც რომ მოიძებნოს, ვინ მოიყვანს? ხერიპსი აქ არ არის. ასეთი გაქცევის შემდეგ ლუკაია კვირაობით სადღაც იკარგება. *(თარაშს)* აი, თქვენ რომ ნახავდეთ, უცილოდ წამოგყვებათ. ესეც არ იყოს, თამარის ავადმყოფობას რომ გაიგებს, თავად მოირბენს.

თარაში – კი, მაგრამ სად იქნება ვითომ ლუკაია?

კაროლინა – ღმერთმა იცის, სად დაბორიალობს ასეთ დროს. ხან ხეციების ტყეში ტყისკაცივით დააბოტებს, ხმამაღლა გალობით და ღიღინით იკლებს იქაურობას, ხან დუქნებში შეათრევენ, სამადლოთ აჭმევენ რამეს და ალაპარაკებენ, ძველ ამბებს მოაყოლებენ, ახუმრებენ და დასცინიან. შესაძლოა, სასანიასთან იყოს, ბაზრის ბოლოს, მწვანე სახლი რომაა, ყოფილი ფოსტისა. იქ წინათ სანთლების სახელოსნო იყო. თუ იქ ვერ ნახოთ, იქვე ძველი სამჭედლოა, ზოსიმის სამჭედურს იკითხავთ, ის მჭედელი მისი ძმაცაცია.

თარაში – თუ ასეა, წავალ მე ლუკაიას საძებნელად, თუ სადმე ვნახე, უთუოდ აქ მოგვცრით.

მერვე ეპიზოდი

წისქვილში, ლუკაიას ფეხზე ოშოშიას ადებს ზოსიმია.

თარაში – აქა მშვიდობა! *(ზოსიმია წამოხტა)*

ლუკაია – *(ადგობა დააპირა, ენის ბორძეკით)* რა მოხდა, თარაშ ბატონო, ხომ მშვიდობაა? ნახუცარს ხომ არაფერი დაემართა? რაიმე დიდი უბედურება ხომ არ გვეწვია?

თარაში – მშვიდობაა, მშვიდობა, ნუ შეშინდი! ენგურისაკენ უსაზნოდ გამოვისეირნე, შემომალამდა და წისქვილში შემოვიარე. არც კი ვიცოდი, შენ აქ თუ ვნახავდი *(ზოსიმიათ გააჩერა დოღაპები. სიჩუმე ჩამოვარდა)* ამ მყუდრო წისქვილში სიამოვნებით ვიცხოვრებდი *(ზოსიმია გაეიდა)*.

ლუკაია – მეწისქვილეს ზოსიმია ჰქვია, გაიგონებდი, ალბათ!

თარაში – მუნჯი ხომ არ არის ეს ზოსიმია?

ლუკაია – მუნჯი არ არის, მაგრამ არავის ელაპარაკება ჩემს მეტს. ამბობენ, ალი შეხვედრიათ ენგურში, იმის შემდეგ მიუტოვებია ლაპარაკი. საერთოდ ლაპარაკს ერიდება და ასე ფიქრში წასული ზის დღენიდაღ.

თარაში – ლუკაია, თამარის ჯვარი ხომ იცი?

ლუკაია – მერე?

თარაში – მგონი, დაკარგა თუ სადღაც შეინახა, ვეღარ პოულობს.

ლუკაია – ეს რა მითხარი, მახარია! ვუუბნებოდი მაგ უბედურს, ჩემთვის მოეპარებინა. გუშინდელ დღესავით მახსოვს, სული ხდებოდა ცხონებულ დედამისს, მე თუ გიყვარდე, ეს ჯვარი არც არავის აჩუქო, არც დაკარგო, მაგრამ ჯვარიც დაკარგეთ, შურიგე.. ჯვარიც დაკარგეთ და ღმერთიც. ჩემი გაზრდილია ი ბლარტი და არაფერს მიჯერებს, მე თამარის და თათიას უნახავად ორ დღეს რომ გაუძლო, ესაც ბევრი იქნება.

თარაში – მაშ, ამაღამ წავიდეთ, რადგან თამარი ცუდად არის.

ლუკაია – *(წამოდგომა დააპირა, ვერ შეძლო)* ფეხი მტკივა, მაგრამ მაინც წამოვალ. ესაა მხოლოდ, ამ ჭკალებში ბედაურიც ვერ გაივლის. ჭკობებიც რომ გავიაროთ, ბონდი გაფუჭებულია და ამ უმთვარო ღამეში ქაჯი ვერ გადავა ენგურზე...

თარაში – შენ როგორ მოხვედი მტკივანი ფეხით?

ლუკაია – წისქვილისკენ მომავალი მეურმეები ენახე და იმათ წამოყვევი. ეს რა მითხარი, შურიგე, ჯვარი დაკარგაო, ჯახანას ჯვარი?.. ეს ცუდი ნიშანია. დილა გათენდება, ღვთის იმედით, ფეხი ძალიან მტკივა, მაგრამ მაინც წამოყვევი უთენია.

თარაში – ზოსიმია შეგეღევა?

ლუკაია – ქვეყანას შეელია და მეც შემეღევა. ძველაფხაზთა მოგვი იყო, გრდემლზე მლოცველთა ქურუმი. ნამალევად ეწეოდა ამ კულტს. მჭედლობდა, თანაც გულმოდგინედ ასრულებდა თავის რიტუალს. შვილობილად აღიარებულმა გასთქვა. დაუკეტეს სამჭედლო და მაშინ აიყარა გული ადამიანებზე. ჩემს გარდა ერთი გველი ჰყავს კიდო – „ანგელოზთბატონს“ უძახის. გველების შემლოცველიც ყოფილა ზოსიმია და ქვეწარმავალთა გულის მესაიდუმლე.

თარაში – რას აჭმევს მერმე იმ გველს ზოსიმია?

ლუკაია – რა უნდა აჭამოს უხსენებელს? რძეს ასმევს, თუ სადმე იშოვნა. მივჯოგებები ჩამოივლიან და თითო ჭიქას ვინ არ დაუტოვებს.

თარაში – ვისი ყოფილა ეს წისქვილი, ლუკაია?

ლუკაია – დადიანისეული, შურივე.

თარაში – ახლა ვისია?

ლუკაია – კოლექტივის.

თარაში – ვინ დააყენა მერე ზოსიძია ამ წისქვილში?

ლუკაია – სოფელმა. დიდხანს მშვიერი დადიოდა ზოსიძია, მერმე შეეცოდათ და მეწისქვილედ დააყენეს.

ზოსიძია – *(ლუკაიას)* ბიჭო, ადექი და იქ ცოტა თხის რძე დარჩა ქოთანში, სტუმარს მიართვი, შენი ნახელავი ეამება.

ლუკაია – *(ძლივს მივიდა კარადასთან, ქოთანს ვადმოიღო, თარაშს მიაწოდა)* ა, პატენი!

თარაში – ამ ქოთნიდან ხომ არ აჭმევს ზოსიძია რძეს თავის გველს? *(მოშებულმა უსიტყვოდ დაუწყო ხვრება ცივ რძეს)* ძილი ნებისა, ლუკაია! *(გაეცინა, რადვანაც ლუკაიას ხვრინვა მოესმა. დაწვა, ცხვრის ტყაბუჭი დაიხურა)*

ავტორი – ის იყო თვალი მიღულა, რომ სისინი გაიგონა თარაშ ემხვარმა. სარკმელიდან შემოჭრილ შუქზე დაინახა, თუ როგორ წამოვიდა მისი საწოლისაკენ უშველებელი გველი. იგი მთელი წყრთის სიმაღლეზე წამოწეულიყო მიწიდან კისერგაშეშებული და სისინებდა ისე, როგორც ნომბრის ამაზრზენი ქარი, ჩალაში გავლებული. ასე ფეხაკრეფით და უზმოდ მოდისო ალბათ სიკვდილი ამ უცნაურ მიწაზე და მისი ფიქრი თამარს მისწვდა ამ მძიმე წუთებში. ბედისწერა ყოფილაო ჩემი, თამარის შეხვედრაც და მისი ჯვრის დაკარგვაც და იამა საყვარლისაგან სასიკვდილოდ გაგზავნა. მაშინ გაბედულად ასწია თავი, ძირს დაიხედა და დაინახა, თუ როგორ ჩაჰყო ქოთანში ქვეწარმავალმა თავი და შიგ ჩარჩენილ თხის რძეს დაუწყო სვრება.

მეცხრე ეპიზოდი

თარაში – რატომ ხარ, თამარ, ყოველთვის მოწყენილი? რა მოგივიდა?

თამარი – განა შენ არა ხარ მოწყენილი, აკი შენც ხშირად უჩივი მელანქოლიას?

თარაში – მიუხედავად ამისა, მე უგუნებობას არ ვემღევი, მინდა

გავჯანსაღდე, მშობლიური მიწის სურნელით განვიკურნო, უცხოური ჩვევები უკუვაგლო და ჩემს ხალხს დაუბრუნდე. უნდა გიხაროდეს, ამ მზეს რომ შესცქერი, ამ ვენახს, ამ ციხეს. მე კი, მე ის მიხარია ყველაზე მეტად, რომ დღეს შენს გვერდით მოვდივარ და შევსცქერი შენს ნაწნავებს, შენს მხრებს, შენი ფეხის ხმა მესმის. ასე მგონია, შენი გულისთვის მღევების ბუნაგს ავიკლებ-მეთქი. გაიცინე ჩემო კარგო, გაიცინე. გენაცვალე! იცოდე, მზე მხოლოდ ერთხელ ამოდის დღეში და ახალგაზრდობაც მხოლოდ ერთხელაა მოცემული.

თამარი – ერთი მითხარი, თარაშ, რამდენი ქალისთვის გითქვამს იგივე სიტყვები?

თარაში – რას ამბობ მაგას, თამარ?

თამარი – ასე ამბობენ შენზე, გულარძნილიაო!

თარაში – მართალია, მე გრძნობა მრავალგზის გამიფლანგავს სხვათა ქვეყანაში, მაგრამ ისიც ხდება ჟამიდან ჟამზე, გული ხანდახან შავ ზღვასა ჰგავს ფირუზის ფერს, მრავალი მღვრიე მდინარე შეერთვის, მაგრამ იგი მაინც უშესანიშნავესი და უწმინდესი ზღვაა სხვა ზღვათა შორის. შენ იცი, ყოველ მამაკაცს გულში ჰყავს ამოჭრილი ვიღაც ქალის სახე და დღენიადაც ამ უსახელო კერპის ძებნაშია. მეც ასე ვემბდი იმ უცნობ ქალს. ქვეყანა შემოვიარე და ვერსად ვნახე; თურმე შინ მიცდიდა, მაგრამ როგორც ვხედავ, ეხლა ყოველივე გვიანია. შენზე ამბობენ. დანიშნულიაო.

თამარი – ასეც რომ იყოს, მერე რა?

თარაში – ეს მართალია, რომ შენ და არზაყან თბილისს აპირებთ წასვლას აგვისტოს თხუთმეტს?

თამარი – ვაპირებთ. ინსტიტუტში ვაპირებთ შესვლას. შენ ყველას მოგვასწარი, ჩვენ აქ ჩავრჩით, ამ პროვინციაში, შენ კი ქვეყანა მოიარე.

თარაში – ნეტავი მეც თქვენთან ერთად დავრჩენილიყავი, არც რამე მესწავლა და არც რამე მენახა.

თამარი – მიყვარს, როცა შენი ცხოვრების შესახებ მიაბობ რაიმეს, რაც შენ თავად განვიცდი და გინახავს.

თარაში – მე კიდევ შენი ხმა მიყვარს. ზეცის რეკვასავით ამოა შენი ხმა. შენ არც კი იცი, ალბათ, როგორი საამური ხმა გაქვს. ერთხელ, ნადირობისას, ფიჭვის ქვეშ ვთვლემდი და უცებ შემომესმა შენი ხმა: „მისოუსტ!“ შენი ხმა რომ იყო, ვიცოდი,

მაგრამ მისოუსტ ხომ არასოდეს დაგიძახნია ჩემთვის ბავშვობის შემდეგ და ეს როდის იყო?! დავაბოტებდი ტყეში და ველოდი თუ როდის დამიძახებდი კიდევ მისოუსტს, როდის შემომესმოდა შენი ხმა. ახლაც, როგორც იმ დამეს, დავდივარ ამ ცხოვრებაში და ვიცდი, თუ როდის დამიძახებ შენ ისე, როგორც ბავშვობაში მეძახდი მისოუსტს; და ასე მგონია, მხოლოდ შენი ხმა დამიბრუნებს იმ უბიწოებას, უცხოეთში ყიალის დროს რომ დამეკარგა, თამარ; შენა ხარ ბავშვობაში დაკარგული ჩემი ზმანება, შენა ხარ ჩემი დაკარგული სამოთხე, თამარ. სოქვი რამე, ხმა გაიღე, თამარ.

თამარი – რა გინდა ჩემგან, თარაშ?

თარაში – შენი სიყვარული მინდა, შენი ხმა, შენი მშვენიერი ნაწინავეები! რად სდუმხარ, მითხარი რამე!

თამარი – იმიტომ დავდუმდი, რომ სანუგეშოს ვერას გეტყვი, თარაშ. ჩვენ აკვანში რომღავენიშნეთ, მე მოვიციდი, ეს იქნებოდა ღვთის განგება და ამას უსიტყვოდ დავემორჩილებოდი. მაგრამ შენ დაგაგვიანდა. შენ სხვისთვის გიჩუქნია შენი პირველი სიყვარული. *(წასვლას აპირებს)*

თარაში – მაშ ჩემი წარსულისადმი ეჭვიანობ? მერწმუნე, არცერთ ქალს არა რგებია ისეთი დიდი სიყვარული, როგორც შენთვისაა შემონახული ჩემს გულში.

თამარი – მაგრამ ჩემი გული...

თარაში – ნუთუ სხვას ეკუთვნის?

თამარი – როგორ ვითხრა... *(თარაში მივარდა, გახელებულმა დაუწყო კოცნა. ტუჩებში აკოცა ზედიზედ. ქალმა გაიბრძოლა, წამოღვა, რამდენიმე ნაბიჯი გადაღვა. მერე ჩანთა გახსნა და წიგნაკი ამოიღო)*

თამარი – ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა: ეს წიგნაკი უპოვია ტყეში დამას, ძროხების საძებნელად წასულს. შენი დღიურია. შენი გულახდილი აღსარებანი! *(წიგნაკს მისცემს)* მშვიდობით *(გაღის)*.

ჩაბნელება

მეათე ეპიზოდი

ჩალმაზი – გამარჯობა, არზაყან.

არზაყანი – სალამი, ამხანაგო ჩალმაზ.

ჩალმაზი – აქეთ გახლდით და შემოგიარე სულ ერთი წუთით. ახალი ხომ არაფერია?

არზაყანი – ისეთი არაფერი

ჩალმაზი – უფროს ტარბას, ლომკაცობას დაუქადნია ოქუშში: არზაყან ზვამბაიას მოვკლავ და კოლექტივი აგვცდებო.

არზაყანი – დოღში რომ ვავლობე, მთლად გაგულისდა და ესაც ზედ დაერთო სიძულვილს.

ჩალმაზი – კი, მაგრამ ღარიბი გლეხობა ხომ სულ მოგემხრო?!

არზაყანი – ეგენი ისევ ილორის წმინდა გიორგის ადიდებენ, ბატონყმობის მობრუნებას ნატრობენ, აფაქიძეების, დადიანების, ემხვარების ქვრივებს უკითხავად უზიდავენ სარჩოს. ის დრო ენატრებათ, როცა მეფის ჩაფარი მათრახით უმასპინძლდებოდა.

არზაყანი – გალისკენ ვაგაცილებთ, ამხანაგო ჩალმაზ. მიმდინარე საკითხებზე გზაში ვილაპარაკოთ.

ჩალმაზი – ვერ ვიზიარებ მთლიანი კოლექტივის ძალით შემოღებას და რა ვქნა?! არენბა არლანმა უკვე გაატარა თავის რაიონში ეს ღონისძიება და თბილისიდანაც იგივე ღირექტივები მომდის მე.

არზაყანი – ამბობენ, არენბა არლან გაუგონარ ინტრიგებს ეწევა თქვენს წინააღმდეგ.

ჩალმაზი – შენ იცი, პანიკა ადვილად არ შემიპყრობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, მალე მომხსნან. ჩემს ნაცვლად არენბა არლანს უპირებენო დანიშვნას. ცხადია, ამის შემდეგ შენი ჯერიც დადგება. აბა, რასა ჰგავს ეს, ქათმებიც კი შეაყვანინა არლანმა კოლექტივში ხალხს. არა მგონია, ეს იყოს პარტიის პოლიტიკა. ზარები არ დატოვეს მთელ აფხაზეთში და ეს საქმე ჰგონია არლანს.

არზაყანი – დროა, მარტო ძველი დამსახურებით ყოყონობას ბოლო მოეღოს.

ჩალმაზი – წარსულში ღვაწლი მიგიძღვის? დიდი მადლობა მოგვიხსენებია ამისთვის, მაგრამ შენ ეს მითხარი, დღეს რასა ჰქმნი? ამ პარაზიტებმა წაიღეს გული.

არზაყანი – აფაქიძის ქალი აკეთებსო პოლიტიკას. გვანჯ აფაქიძე

და მისი ქალი. მთელი რაიონი აღშფოთებულია ამ ამბების გამო. გვანჯე აკეთებს საქმეებს, გვანჯეს ეთათბირება არლან. ნუთუ ასე ძნელია ამ კაცის დაძვრა?

ჩალმაზი – მე ვერიდები ჯერჯერობით აქტიურად შებმას. ერთი სინჯოს და მომხსნას. თბილისში ჩავალ და მაშინ მიყუროს! მაშინ უთუოდ გავხსნი მის ბნელ საქმეებს.

არზაყანი – ასე ამბობენ, ცენტრში უჭერენო მხარს არენბა არლანს.

ჩალმაზი – ვინაც უნდა იმან დაუჭიროს მხარი. სტალინთან რომ დამჭირდეს ფეხით მისვლა, მის ბნელ ამბებს გამოვიტან სააშკარაოზე. აბა, ახლა კი დავშორდეთ, გმადლობ, რომ გამომაცილე, თუ მომხსნეს, თბილისში შევხვდებით.

მეთერთმეტე ეპიზოდი

გვანჯი – ჯოტო, ბიჭო, ნამდვილად იცი, რომ დღეს გამოვიდოდა არზაყან ოქუმიდან?

ჯოტო – ნამდვილად, დედის სულს გეფიცები, ძია გვანჯე. ჩემი დაია მივგზავნე დღეს ნასადილეგს, ცხენს უწმენდავდა კაც ზვამბაია საბურველით.

გვანჯი – ჩვენ სულ დაგვავიწყდა, ბიძი, დღეს რომ ორშაბათია, რა შვილია ის სულკატიანი კაც, ორშაბათ დღეს სამგზავროდ გაუშვას არზაყანი (*პაუზა*) ჯოტო, ბიჭო, რა ღმერთი გაუწყრა იმ ცვედან ლომკაცია ტარბას, შვიდმა მამამ რომ ვერ ჩააძაღლეს ი გველის წიწილი არზაყან?

ჯოტო – ლომკაცია მუცელშიაო დაჭრილი, ჩემი და მიაძობოდა ამ დილით. ვეჭვობ, გადარჩესო.

გვანჯი – ჯოტო, ბიჭო, ტყვიები ხომ არ შემოეღიათ მაგ მკედარძაღლებს?

ჯოტო – ტყვიები თავსაყრელი ჰქონდათ. ოცდახუთი მე მივეცი წინა დღეს. მაგრამ ის გველის წიწილი მანქანაში შემძვრალა, ძია გვანჯე.

გვანჯი – მანქანა სად იყო იმ სატიალოში?

ჯოტო – ოქუმის გზატკეცილს სტკეპნიან აკი.

გვანჯი – აი, გაუწყრათ ილორის მადლი. ი წყეულები მუდამ სტკეპნიან

რალაცას. (თავზე მოიჭირა ხელები) დაგვათრო იმ მამაძაღლმა ლადარიამ. (პაუზა) დღეს თუ გაგვექცა ი ღრანჭმოქცეულის შვილი, მერმე მშვიდობით... არაბიაც მას შერჩება და შარვაშიძის ქალიც. ასე ამბობენ, ბიჭო ჯოტო, თბილისში გაუწვევიათ ცეკას. ჩვენი რაიონის მდივნად ნიშნავენო. თუ ეს მოხდა, მე და შენ უნდა გამოვეთხოვოთ ოქუმი. ჩემი ნათლულიც წაჰყვება უთუოდ. ქალი მდგომარეობას უყურებს, ბიძი; გაუტკბათ ჩვენს კნიაჟებს ავტომობილში ჯდომა.

ჯოტო – მერე რას ვაპირებთ, ძია გვანჯ? რევოლვერითა და სატევეართ რას გავხდებით, ქარივით ცხენზე ზის ის წყეული. თოფები გვემოვნა, სჯობდა.

გვანჯი – თოფები რათ გვინდოდა, ბიჭო, მიღეთის ხალხი, ურემი და ავტომობილი დადის ამ გზაზე. მე არც რევოლვერი მაქვს, ბიძი; ჩვენ მშვიდობიანი მეთევზეები ვართ, ეზივართ ხიდის ყურში და ვანკესობთ.

ჯოტო – (წამოხტა) ღორჭოების საჭერად წამომიყვანე, ძია გვანჯ? მე ანკესი ჩემს დღეში არ მჭერია ხელში.

გვანჯი – ღორჯოს ნუ ესუძრები, ბიძი. ღორჯო ღორჯოა, რო გაიზრდება, ღლავი გახდება და შეგჭამს, ღმერთმა ქნას და აქ გამოიაროს. იარაღი რად გინდა მაგ გველის წიწილთან. მე ტარბა ხომ არ გგონივარ? მაგისთანა ზღმურტლიანები ცერის ფრჩხილით მომიგუდავს სადღაც ლაფაროში. შენ მანდ იჯექი და მაგ ანკესს უყურე, ბიძი... (პაუზა) შენ თვალი უკეთ გიჭრის, ერთი გახედე, შენს გაზრდას

ჯოტო – (წამოდგა და ისევ დაემხო) სუუ...

გვანჯი – ერთი მარქაფა ცხენია და მეორეზე თვითონ ზის, არა?

ჯოტო – ერთი მარქაფა ცხენია და მეორეზე თავად ზის. რით უპირებ მოკვლას უიარაღო კაცი რაშივით ცხენზე მჯდარ მაუზერიან არზაყანს? ბოლოს არც არზაყანს იცნობენ ოქუმის მხარეში როგორც ლაჩარს??

ავტორი – როცა არზაყან მეანკესეებს გაუსწორდა, გვანჯ აფაქიძე წამოიჭრა, თეთრი ჩაბალახი მოინხნა კისრიდან და საშინელი სისწრაფით დაატრიალა. საშინელი სისწრაფით მოსწყდა არაბია ბოვირს, მარქაფა ცხენი განზე გავარდა და არზაყან თან გადაყვა აღვირს. ცოტა ხანს ათრია უზანგზე ცალი ფეხით დაკიდული მხედარი არაბიამ და მერე მიწაზე დაანარცხა არზაყან. უეცარმა ყვირილმა შეაკრთო მღუმარე ღამე და მერმე ისევ სიჩუმე

გაიშლართა თემშარაზე. უთენია არაბია და ეშბას ცხენი ოქუშში მოვარდნენ და მთელი სოფელი ფეხზე დააყენა ამ ამბავმა. ხოლო აგვისტოს თექვსმეტს, ნაშუადღევს, არზაყან ზვამბაია ნაბადში გახვეული შინ მიიყვანეს მეურმეებმა. ხელისუფლება ჩაერია საქმეში. რამდენიმე ტარბა შეიპყრეს ეჭვით.

მეთორმეტე ეპიზოდი

ლუკაიას ხულაში.

თარაში – მოგესალმებით ყველას. დაშამ წერილი გადმომცა. ფელამუშზე რომ დამპატიჟეთ, ფრიად მუამა, მაგრამ ეს უბედური ლუკაია ყურძნის მოსაკრეფად ასული ხიდან რომ ჩამოვარდნილა და თანაც ავმა ზნემაც გაუხსენა, შევწუხდი ძალიან. *(საწოლში მწოლიარე ლუკაიას დახედა)*

ლუკაია – ვინ ხარ?

თარაში – როგორ ხარ, ბეჩა ლუკაია?

ლუკაია – მე დავბრუნდი. გუშინ ცეცხლი მომეკიდა... არ მომეკარო, ცეცხლი ანთია თოვლში, ხელი გასწიე... ყურძენი ძირს ჩამოვა... მე და დედაჩემი ილორში მივდივართ ამალამ.

თარაში – ილორში რა გინდა, ბეჩა ლუკაია?

ლუკაია – ილორში როგორ რა მინდა? ილორში დავწევი... ისინი მოვლენ... ძველ სიმღერებს იტყვიან და გადამთელავენ... ჯოგები მოდიან... მტკერი სცვივა...

თარაში – *(თამარს)* ხომ არ აცივებს?

თამარი – სიცხე კი აქვს და რა ვიცი.

კაროლინა – ხერიპისი ამბობს, ტვინის შერყევა უნდა ჰქონდესო, მაგრამ გაუკლისო. თუმცა სულ ერთია... ლუკაია ადრე თუ გვიან ცუდად გაათავებს.

თარაში – რა სიმაღლიდან ჩამოვარდა?

კაროლინა – ორი მეტრიც არ იქნებოდა, მაგრამ ლუკაიას ტვინისათვის ესეც კმარა.

ლუკაია – *(თარაშს)* შენ ვინა ხარ, შურიგე? მე რა ვიცი, შენ ვინა ხარ? ან მე ვინა ვარ, ჩვენ ვინ ვართ? არავინ ვიცი, თუ ვინა ვართ, არავინ, არავინ... გველი... გველი... გველი... არ ახსენო ზოსიმია... კარის ჭრიალი არ გაიგონოს... სუუ... თხას სურო

ამოუვა ტვინში... მოიტა ურო, მოიტა, თამარ, თავზე დამარტყი... სუუ... მოდის, მოდის... უხსენებელი... ასი მთის გადაღმა, ასი მთის გადაღმა... ჯვარი აქა... ჯვარი აქა...

კაროლინა – ტაბლას მიუჯექით, თარაშ. ეგ ასე ბოდავს დღედაღამ. ეს ფელამუში ჩემი გაკეთებულია. ლუკაიამ მოგვიკრიფა ყურძენი. მერე, რაკი ასეთი ხიფათი შეემთხვა, დამას ფეხი დავაბანინეთ და საწინახელში ჩავუშვით.

თამარი – ეს უბრალო ღვინო არ გეგონოთ, პაპისეული ვენახისაა. ამილახორის ჯიშისა. **მამა** გვიამბობდა: ეს ემხვარების მოტანილიაო ოდიშიში. ემხვარები ამილახვრები ყოფილანო. საცოდავმა ლუკაიამ ოქუძის მამულიდან მოაპარვია ეს ერთი ძირი კაც ზვამბაიას. იმ ხეზე არავის უშვებდა. ბევრი ვუჩინინეთ მე და კაროლინამ, მაინც არ დაიშალა და კინალამ გადააჰყვა.

თარაში – კი, მაგრამ ქალის დაწურულ ღვინოს რომ არ სვამენ ჩვენში?

თამარი – განა სულ ერთი არაა, რა ქალი და რა კაცი?

თარაში – რა გაცინებთ, კეთილო ფრაუ?

კაროლინა – ამდენი ხანია აფხაზეთში ვცხოვრობ, ჯერაც სიმინდი არ მიჭამია.

თარაში – რატომ მერე?

კაროლინა – ციებისა მეშინოდა... თქვენ იცით, ჰერ ემხვარ, თამარი თბილისს მიმყავს ხვალ?

თარაში – რისთვის?

კაროლინა – მედიკურ ინსტიტუტში უნდა შევიდეს.

თარაში – ეჰ, ქალს ინსტიტუტი რად უნდა. ისა სჯობს, გათხოვდეს და ოჯახი შექმნას.

კაროლინა – მე თქვენ ძლიერ მამბრახებთ, ჰერ ემხვარ. არ კი გამიჯავრდეთ და თქვენი აზროვნება, ქალის საკითხში მაინც, არაფრით განსხვავდება ბაბუა ტარიელის აფორიზმებისგან.

თარაში – თქვენ რატომ მიბრძანდებით თბილისს?

კაროლინა – თათია უნდა ვუჩვენო ექიმებს. მყივანა ხველამ ჯირკვლები დაუტოვა და აქაურმა ექიმებმა თავი ვერ გაართვეს.

თამარი – არზაყანსაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ არსადა სჩანს.

თარაში – მაშ, ესეც ჩვენი მგზავრობისა იყოს!!

კაროლინა – ჩვენიო? მაშ, თქვენც მოლიხართ ხვალ?

თარაში – მეც...

ლუკაია – ფუი, ფუი, ფუი! აქ რა გინდა, თამარ, მე წითელ

გვირგვინს დაგადგამ. ჯვარი, ჯვარი, ფუი, ფუი, გველი ჯვარზე გასულა... პირში ვარდი ამოსვლია. დედა, დედაჩემო, მოიცა, მეც მოვდივარ, მეც...

ჩაბნელება

თარაში – ეს პირველი საერთაშორისო ვაგონი მიდის თბილისისკენ.

თამარი – კარგია, ასეთი კუპე გქონდეს კაცს საკუთრად და მთელი ქვეყანა ამნაირად მოიარო. თუ ოდესმე გავმდიდრდი, ჩემს ოთახს მთლიანად ასეთი სარკიანი კედლები უნდა ჰქონდეს ასეთივე წითელი ხის რაფებით დამშვენებული. *(პაუზა)* ნეტავ, თათია ხომ არ ჭირვეულობს?

თარაში – ორიოდე წუთის წინ ვიყავი. კუპეს კარი დაკეტილია; როგორც სჩანს, სძინავთ.

(თამარი ფანჯრიდან იცქირება. თარაშმა მარჯვენათი თამარის ორივე ნაწნავი აიღო და აკოცა თმებზე. მერე ნაწნავებს ხელი უშვა და აკოცა კეფაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ნაწნავების სათავე იყო. თამარი უცებ მობრუნდა და პირდაპირ შეაშტერდა ვაჟს)

თამარი – რა გინდა ჩემგან, თარაშ?

თარაში – შენი სიყვარული, თათია... ჩემო თამუნია... ჩემო თათუშელა...

ავტორი – ჰკოცნიდა თარაში თამარის გაცხელებულ ლოყებსა და ტუჩებს. თრთოდა თამარის ტანიც, თითქოს ერთსხეულებად გახდომა მონატრებიათო ქალსაც და ვაჟსაც. ვნებამორეული, გააფთრებული ჰკოცნიდნენ ურთიერთს და მიმქროლავ მატარებლის გრიალში უეცარი კივილი გაისმა, მერმე აისვეტა ბნელში ქალის ზემო ტანი, გასხლტომას შეეცადა, მაგრამ ისევ დაენარცხა ძირს, ისევ მიენლო ვაჟკაცს და ორივემ შეიცნო მყის: ბნელეთის უბეში მიაქროლებდა მათ ბედნიერების წრეგადამცდარი ეტლი. და მატარებელი მიჰქროდა ბნელში; არგათენებას ნატრობდნენ ორივენი გულში...

მეცამეტე ეპიზოდი

ავტორი – თბილისი მდებარეობს 410, 481 ჩრდილოეთ განედისა და 440, 481 აღმოსავლის სიგრძეზე გრინვიჩით. იმ ჟამად, როცა ჩემი გმირები ქალაქად ჩავიდნენ, თბილისი 430 ათას მცხოვრებს შეიცავდა, 13 ათას ქუჩას და ყოველწლიურად 80 მილიონ კილოვატსაათს ხარჯავდა.

ანული – კეთილი იყოს შენი ფეხი თავად ფარჯანიანების ოჯახისათვის, თამარ. (*შეეგება, გადაკოცნა*) ხომ ხელავ, რა დღეშიც ჩავცვივდით. ჩვენი უსჯულოების, გარყვნილებისა და ბედოვლათობის სამაგიერო გვიზღაო ღმერთმა, გვიმტკიცებს მამაჩემი; არაფერი უღმერთოდ არ იქნება ამ ქვეყნად. ბოლშევიკები ღვთის განაჩენს ასრულებენო და იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო, ხანდახან მეც ეჭვში ვარ – ეგებ ეგ ასე იყოს-მეთქი... შემოდგა თუ არა, ფეხი თარაშმა, მამაჩემმა – ვის გაუგონია ქალი კრებებზე დადიოდესო, გადაგვევგაო ანულიმ, სიბერე გაგვიმწარაო. ჩააგონეთ რამე ანულის, „ზაქსში“ მაინც ნუ წაყვებაო იმ ოჯახდაქცეულ მანჯგალაძეს. (*პაუზა*) ამაზე გამახსენდა, როგორაა შენი და არზაყანის რომანი?

თამარი – (*აიძღვრა*) ვინ გითხრა... მე და არზაყანი... რომანი?

ანული – შენ ასეთი გულჩათხრობილი იყავი ყოველთვის... ვინ მითხრა და შელეგია ჩამოვიდა აფხაზეთიდან გუშინწინ. შელეგია ხომ გახსოვს, მერვე ჯგუფში ჩვენთან რომ იჯდა. თავკოპალას არ ვეძახოდით?

თამარი – ნოდარი?

ანული – ჰო, ნოდარი ჭორფლიანი, მაღალი, ცოლად დადიანის ქალი რომა ჰყავს, ლილი... ჩვენში დარჩეს და უწინაც კალთამადლიანი იყო ლილი... ასე გაათავა გიმნაზია. რას ჰქვია კალთამადლიანი, ის ყოფილა ყველაზე ჭკვიანი ჩვენში. ორსართულიანი სახლი აქვს მის ქმარს, საკუთარი მაშინა და მდიდარი პრაქტიკა. თვითონ ლილი ზაფხულს კისლოვოდსკში ატარებს, შემოდგომას გაგრამში, ზამთარს – წყალტუბოში. ქმარი ხარივით შრომობს. კავალრებს არ იკლებს ლილი და არც გართობას. რა ყრია მაც შენ მონაზვნობაში, ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შორის გამეპარა... და რა მოვასწარი?

თამარი – მერე, რაო, რა გითხრა იმ შელეგია?

ანული – შელეგია კლინიკაში ვნახე სწორედ გუშინ. ამბობდა,

ამ დღეებში ქალაქში ჩამოვლენო თამარი და არზაყან. ორივეს მედფაკულტეტი აურჩევიათო. ეს კარგია, როცა პროფესიაც აერთიანებს ცოლ-ქმარს.

თამარი — კი, მაგრამ მე სრულიადაც არ ვფიქრობ არზაყანის გაყოლას.

ანული — შენ კიდევ არ იშლი დედინემისებრ ქედმაღლობას?

თამარი — ქედმაღლობა რა შუაშია? მე მხოლოდ სიყვარულს გავყვები.

ანული — აბა, მე შენ გეტყვი, თამარ, სისულელეა ეს სიყვარული. მე მხოლოდ ერთ რამეში ვუჯერებ დედაჩემს: უჭკუო ქალებს სჩვევიათო გრძნობის აყოლა. სიყვარულს კომფორტი სჭირია, ჩემო თამარ. მე არასოდეს გავთხოვდებოდი სიყვარულით. მეყოფა გაჭირვება და სილატაკე. არ მინდა, მამაჩემის ოჯახის ნანგრევებ ქვეშ მოვექცე. ცხოვრება მინდა, ცხოვრება და კომფორტი. სიყვარული თვითონვე მოვა შემდეგ. მე არ მომწონს მანჯგალაძე, წინათაც გაიამბობდი... მაგრამ ზოგი მამაკაცი კიბოს ჰგავს, სანახავად საძაგელია კიბო, სამაგიეროდ, გემო აქვს კარგი. სიყვარულით ამიტომ არ გავთხოვდი, ამიტომაც არ გავყევი ჯორჯაძეს.

თამარი — მართლა, რა იქნა ჯორჯაძე?

ანული — არ გაგიგონია? ჯორჯაძემ სიყვარული გამიცხადა, უარი მიიღო და თავი მოიკლა მეორე დღესვე.

თამარი — ო, ღმერთო! როგორი ლამაზი ვაჟი იყო!

ანული — ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, თამარ. არზაყან დეპეშით იხმე, ხელი მოაწერეთ. ეს ყოველივე უთუოდ საჭიროა წინასწარ, ვიდრე ინსტიტუტში მივიღებენ.

თამარი — დედის სულს გეფიცები, ხერიპსსა და საყვარელ თათიასაც, არზაყანს არ მიყვები.

ანული — არ მჯერა. იმასაც ამბობდა შელეგია, თარამ ემხვარიც ეარშიყებო თამარს.

თამარი — არც კი ვიცი, არზაყან სად არის ამჟამად. თბილისში ჩამოსვლას აპირებდა, დაპირებულიც იყო, მაგრამ ალბათ სამსახურმა დააბრკოლა. დიდი მეჭორე ყოფილა ის შელეგია.

ანული — შენ იცი, თამარ, რომ თარამ ემხვარი ჩემი მკვიდრი მამიდაშვილია. მაგრამ ის ამ ცხოვრების კაცი არაა... ასე რომ, მე არ გირჩევ. ასეთი მეოცნებენი ჩვენს დროში ვერ გამოდგებიან... მერმე უნივერსიტეტში მიწვევის ამბავიც გამოირკვა. შარშან ჩვენთან

ცხოვრობდა და ამიტომაც აქ მოუვიდა უწყება უნივერსიტეტიდან. მინდოდა უწყება ამაღამ მიმეცა, მაგრამ დედამ დამიშალა, მე თვითონ მივცემო. დედას ეშინია, რამე არ მოიწიოსო თარაშმა. შენ გგონია, შეწუხდება ამაზე? დედისა და მამიდის ვედრებას აჰყვა, თორემ თვითონ არც უნდოდა პროფესორობა. მას თავისი აფხაზები ქვეყანას ურჩევნია: აფხაზები, ცხენები და ნადირობა. მამამისიც, განსვენებული ჯამსულიც, ასეთივე დაუდეგარი ყოფილა. თურმე ერთ ჯიშთან ცხენზე გაუცვლია ოცდაათი ქცევა მიწა. ფანტაზიორია ჩვენი თარაში... ფანტაზიორებს რად უნდათ ცოლ-შვილი?

თამარი – რა წერია, მერმე, იმ უწყებაში, ანული?

ანული – რა წერია და დაუწუნებიათ მისი ნაშრომი.

თამარი – როგორ თუ დაუწუნებიათ?

ანული – როგორც მიუღებელი თანადროულობისთვის. თარაში კარგად იყოს და ამ ლაპარაკში სულ ის უბედური მანანა ანჩაბაძე მიდგას თვალწინ.

თამარი – რა მოსვლია ასეთი?

ანული – საშვილოსნოს გარეშე ორსულობა.

თამარი – ეგ რაღას ნიშნავს?

ანული – თუ გაინტერესებს, წამოდი კლინიკაში ჩემთან. სწორედ ზეგ გვიჩვენებენ თუ როგორ უნდა ამგვარად დაორსულებულის ოპერაცია.

თამარი – აუცილებლად წამოგყვები.

ანული – ახლა კი, ძილი ნებისა.

თამარი – ძილი ნებისა, ანული.

ანული – თამარ, თამრი, შეამჩნიე, გოგოები როგორი გაოცებით უცქერიან შენს ნაწნაგებს?

თამარი – მეც მათსავით თმაშეკრეჭილი ვივლი ზვალიდან.

ანული – ყოჩაღ, თუ მართალია.

თამარი – გეფიცები...

ანული – აი, ეს კი მჯერა... ძილი ნებისა...

თამარი – ძილი ნებისა...

მეთოთხმეტე ეპიზოდი

- თარაში** – საოცარია, მთაწმინდის ეს მთები გნოლისფერი ხდებიან შემოდგომაზე. აქაური კურდღელიც გნოლისფერია ამ დროს.
- თამარი** – ანულის დაპირდი, ექვს საათზე მოვალ-მეთქი.
- თარაში** – იცი, თამარ, მე მაინც ასე მგონია, კურდღელი უნიჭიერესი ცხოველია ნადირთა შორის.
- თამარი** – მე ძალიან მაწუხებს, მისოუსტ, შენ ყურისგდება არ იცი საერთოდ. რა შუაშია აქ კურდღელი. მე ანულის შესახებ გელაპარაკები, შენ კი კურდღელს ახსენებ.
- თარაში** – მაპატიე, თამარ, მე ცოტა დაბნეული ვარ. ჩემი ცხოვრება დაიბნა და რად გიკვირს, რომ მეც დაბნეულად გელაპარაკები. რაც შეეხება ყურადღებას, მე მხოლოდ საყურადღებო ამბების ყურადღება თუ შემიძლია.
- თამარი** – რად ამბობ მაგას, მისოუსტ?
- თარაში** – მე ასე ვფიქრობ.
- თამარი** – თუ ფუნიკულიორის ვაგონით ჩავალთ, ანულის შინ მივუსწრებთ.
- თარაში** – მოდი, ფეხით ჩავიდეთ.
- თამარი** – წამოდი ანულისთან, მისოუსტ, რა, ფოქსტროტი ვიცეკვოთ! უთუოდ მოგიცდითო, დამპირდა ანული.
- თარაში** – გვიცადოს, სანამ არ მოსწყინდება.
- თამარი** – მე მინდა ფოქსტროტი ვიცეკვო, მისოუსტ, რა...
- თარაში** – დღეს მთელი თბილისის მუზეუმები შემოგატარე, რა არ გაჩვენე და ამის შემდეგ თუ ფოქსტროტი გენატრება, მაშინ შენ ის თამარი არა ყოფილხარ, რომელიც მე მიყვარდა.
- თამარი** – შენ ღიღი ეგოისტი ხარ.
- თარაში** – ეგოისტი? ალტრუისტები დამთხვეულებია.
- თამარი** – შენებური აფორიზმები დაიწყე?
- თარაში** – თუ ჩემი აფორიზმები მოგწყინდეს, ანულისა და მანჯგალაძისა მოისმინე. ადექი და წადი მათთან.
- თამარი** – ფოქსტროტი შენც მოგიხდება, მისოუსტ. შენ ტანადი ხარ, გემოვნებით გაცვია.
- თარაში** – მე გემოვნებით ვიცვამ, მაგრამ უგემურ ცეკვას თავს ვარიდებ, თამარ.
- თამარი** – მაინც რად არ მოგწონს ფოქსტროტი?
- თარაში** – ფოქსტროტი სიფილიტიკ ინდიანელების მოგონილია და პარიზულ ღემიმონდენების საყვარელი ცეკვა.

თამარი – შენ ასეთი ახირება გჩვევია ყველაფერზე, რაც შენ არ მოგწონს.

თარაში – მე მინდოდა დარაიას კაბა შემეკერა შენთვის, ქართული აფურებითა და მანებით მოქარგული, დღეს რომ ვნახეთ მუზეუმში, ფოქსტროტის მოცეკვავეს ეს არ დამშვენდება.

თამარი – მე ისეთ კაბას ვერ ჩავიცვამ, მისოუსტ.

თარაში – რატომ?

თამარი – ჭვრეტას დამიწყებენ, ისედაც ველურსავით მიჭვრეტენ ქალაქში ჩემი ნაწნავების გამო. ანული მირჩევს, მოიკვეცო.

თარაში – შენ თუ თმა შევიკრიჭავს, ჩემი სახელი აღარ ახსენო, თამარ!

თამარი – შენ მართალს ამბობ მაგას, მისოუსტ?

თარაში – მართალს გეუბნები, იცოდე!

თამარი – *(იცინის)* არა მგონია, შენ ასეთ წვრილმანს აპყვე.

თარაში – წვრილმანი და მსხვილმანი არ არსებობს ამ ცხოვრებაში. პლანეტებთან შედარებით, ჩვენი ცხოვრება წვრილმანზე წვრილმანია. *(თამარს თავი გადაუწია. აკოცა, მერე ხელში აიტაცა და...)*

ავტორი – მეორე დღეს სალამოს ექვს საათზე ფარჯანიანის ბინაზე დარეკა თარაშმა. მოხუცმა კეკემ: თამარმა, ანულიმ და მანჯგალაძემ შინ ისადილეს და მერე ჭავჭავაძის ქუჩაზე მკერავთან წავიდნენო. მკერავმა: ახალი კაბები დილიდანვე წაიღეს და ანულიმ და მანჯგალაძემ ხელი მოაწერესო მმჩში. „ორიანტში“ ჰქონდათ შეკვეთილი სუფრა. რესტორანში ჯაზ-ორკესტრი ფოქსტროტს უკრავდა. ორმაგ მაგიდას უსხდნენ ანული, მანჯგალაძე, თამარი, კაროლინა და სამი ქალი. თამარს შიშველი, გაპარსული კისერი უჩანდა.

მეთხოუმეტე ეპიზოდი

მაია – რომელი ხარ, შურიგე?

თარაში – მე ვარ...

მაია – შვილო... ჩემო სიხარულო... გულიკო... *(ეხვევა, ჰკოცნის)*

თარაში – გულიკო რომ მესმის, ისევ ბავშვი მგონია თავი.

მაია – ჩემთვის მარადჟამს პატარა იქნები, დედა.

თარაში – ყოველი კუთხიდან, ჭუჭრუტანიდან იჭყიტება აწ

გარდასული ჩემი ბავშვობა. ხომ გახსოვს, დედი, აქ რომ ვიჯექით ოცი წლის წინათ. შენ მაშინ არცერთი ჭალარა არა გქონდა თმაში.

მაია – მაშინ – არცერთი! შენ კარგად მყავდე, გულიკო, და ჭალარა ნურც გამოძლევია.

თარაში – ხომ გახსოვს, ზღაპარს რომ მიყვებოდი? რა ზღაპარი იყო, აბა, თუ გახსოვს?

მაია – ზღაპრები კი არა, სიცხადე გადამავიწყდა, გულიკო.

თარაში – მგონი, ცაში დაკიდული კოშკი ერქვა იმ ზღაპარს. იმ კოშკში ოქროსნაწნავიანი მზეთუნახავი ცხოვრობდაო და რომელიღაც რაინდი ეტრფოდა.

მაია – მერმე ეშმა შეჩენიაო იმ მზეთუნახავს და ოქროს ნაწნავები მოიკვეთაო.

თარაში – და შესძულდაო იმ რაინდს მიჯნური.

დედა – შენ უნდა შეერთო ცოლი, დედა, მარტო ხარ, შენ ერთი დარჩი, გულიკო.

თარაში – ხომ გახსოვს, დედი, გუბეში ჩავდებული ქაღალდის ნავებით შენთვის აღმასებით გავსებული ზანდუკები რომ მომქონდა. ქვეყანა შემოვიარე, მაგრამ ხომ ხედავ, ხელცარიელი მოგიხველ.

მაია – შენ მეტი ხარ, ვიდრე აღმასების ზანდუკი, გულიკო.

ლუკაია – ვოოპ, მასპინძელო, ვოოპ. *(შემოდის)*

მაია – რამ გაგახსენა ჩვენი თავი, ლუკაია, ბეჩა?

ლუკაია – ოცდაშვიდში მალანურობაა, შურიგე. თბილისიდან კინო გამოუგზავნიათ გადაშაღებად და ამიტომ აწყობენ მალანურობას. ალბათ, ბოლოჯერ!

თარაში – სად დასველდი, ლუკაია ლაბახუა?

ლუკაია – ენგურზე გადასვლისას მეურმეებმა წყალში გადამადგეს... ხუმრობით... ხუმრობით...

თარაში – *(არაყს დაუსხამს)* დალიე, რო გაკანკალებს მეძებარივით.

ლუკაია – აჰ, არა ვსვამ, ხომ იცი? *(გადაჰკრა. თარაშმა ახალი კოსტუმი გამოუტანა)*

თარაში – ერთიც დალიე და ჩაიცვი, პარიზშია შეკერილი.

ლუკაია – უზვანჯო შარვალი როგორ უნდა ჩავიცვა, ჰნი?!
თარაში – მალე ჩაიცვი, თორემ გაცივდები.

ლუკაია – საყელო არ მინდა. ეს „ნასტავლი“ ხალხის საქმეა.

თარაში – როგორ არიან თქვენები?

ლუკაია – დია, ყოველივე კარგი გაგახსენოს, შურივე, ღმერთმა!
(ჯუბიდან დასველებული წერილი ამოიღო და თარაშს მიაწოდა)

თარაში – თარაშ ემხვარისადმი ოქუმში. კაროლინა შარვაშიძის მიერ გამოგზავნილი. ძვირფასო ბატონო ემხვარ! არ დაგიძალავთ, ფრიად გამოაცა თქვენმა მოულოდნელმა წამოსვლამ თბილისიდან. ხანდახან ასე მგონია: თქვენ მაინც კარგად გიცნობთ-მეთქი. მაგრამ თქვენ ისეთი ნაჭედობის კაცი ხართ, მითიურ ოქროს გველივით უსხლტებით ადამიანს. არ გამიჯავრდეთ და ძალიან მეწყინა თქვენი გაუზინარება. არ ვიცი, რა მოხდა თქვენსა და თამარს შორის თბილისში. მერწმუნეთ, მე საკმაო ტაქტი აქაც არ დამაკლდებოდა, ხოლო თამარს – გულჩათხრობილობა. თქვენც გულჩათხრობილი ხართ, რადგან ბევრ რამეში ევროპელებივით სტყუით და აზიელებივით აჭარბებთ. სამ დღეს გიცდიდით თბილისში, ხან ნაცნობებს ვეკითხებოდით, ხან ქუჩებში გეძებდით. სამი დღის მერე ზუგდიდს მოვბრუნდით ორივენი, რადგან თამარი ინსტიტუტში არ მიიღეს. თანაც ვერ არის კარგად, უგუნებობას თავი მისცა სახსებით. დღისით თავის ტკივილს უჩივის, ღამდამობით გვესმის, როგორ წრიალებს და სტირის. დანამდვილებით არც კი ვიცი, სადა ხართ. ეს ლუკაიამ აჩვენა: ოქუმშიაო. ვეღარ დავამაგრეთ და გამოსწია. მეც ვისარგებლე შემთხვევით და გიძღვნიტ გულითად სალამს. მახსოვს, მითხარით: თუ ოქუმში დავბრუნდი, მეურნეობას მივყოფო ხელს. ცივილიზაციას ევროპაშიც ბევრი აგინებს, მაგრამ ისინი ჯერაც დასეირნობენ საერთაშორისო ვაგონებით, აბსენტს სვამენ, ავტომობილიდან არ ჩამოდიან, გახამებულ საყელოს არ იცილებენ, საჰაერო რეისებს არჩევენ ცხენით სიარულს და მაინც სწყევლიან „ამ დასალუპავ ცივილიზაციას“, წარმატებას გისურვებთ ყოველ საქმეში.

მაია – ვისი წერილია, გულიკო?

თარაში – კაროლინასი...

ლუკაია – წავედი ახლა მე.

თარაში – სად მიდიხარ?

ლუკაია – აქეთობისას ზვამბაიბთან გამოვიარე და მუხის ჭიშკარი გადარაზული დამხვდა. ძლივს გავაგონე.

თარაში – რა მოხდა ასეთი?

ლუკაია – ტარბების სისხლი მართებთ. დღეს არზაყანისგან მოკლული ლომკაცია ტარბას უფროსი შვილი დავინახე, ციხიდან გამოქცეულა.

თარაში – როდის ჩამოსულა.

ლუკაია – გუშინ ღამით.

მაია – შენც წადი, შვილო, მაგრამ შარვაშიძეებამდე ჯერ ზვამბაიებთან შეიარე. არზაყანმა ოჯახი აურია მამას და ახლა შენ უნდა გაერიო, სამკვდროდ გადაკიდებული მამა და შვილი შეარიგო.

თარაში – თუ შევძელი...

ჩაბნელება

მეთექვსმეტე ეპიზოდი

ავტორი – შავ ზღვაზე ციკლონმა გადაიარა. ორასწლიანი მუხები მოსთხარა. მთის მდინარეები აზვავდნენ. ცალი ფეხით არაბიას უზანგზე დაკიდებულ და ნათრევ არზაყანს, მთელი ღამე ღამიან მიწაზე გდებისაგან ყოველდღე სიცხეს აძლევდა. მძიმედ დაშავებოდა თედო, მარცხენა ბარძაყი და კოჭის თავი, მიუშველებლად წამოდგომაც არ შეეძლო. კიდევ ახალი და ახალი ჭირი ზედ დაერთო ზემოდნათქვამს: ჩალმანს ჯერ ორჯერ ესროლეს აჭანდარაში, ბოლოს – მოხსნეს. ახალმა მღვიანმა არლანმა კაცი მიუგზავნა კაც ზვამბაიას, არაბია უნდა მომყიდო და როცა მტკიცე უარი მიიღო, მეორე დღესვე მოახსნევინა არზაყანი სამსახურიდან, კაც ზვამბაია კი შავსიელად ჩაარიცხვინა. სოფელში თოფის წამლის სუნი დადგა.

ხათუნა – *(კაცს)* სადილის დროა, ბატონო! *(პაუზა)* ბატონო, სადილის დროა. *(ტაბლას მიუსხდნენ. კაცმა არაყი გადაჰკრა)* ერთი ლუკმა ხორცი მაინც მიგერთმიათ, ბატონო... *(პაუზა)* არზაყანის მოზვერს ქვიშორას ბოსტანი გაურღვევია და ტყეში გასულა... *(პაუზა)* ხვალ საქონელი ჭალაში გავრეკოთ თუ არა? *(კაცმა ისევ დალოა არაყი)*

კაც – *(თავი გააქნია)* ტწნუ!

ხათუნა – ქელეშმა წვერა დაიჭირა, ვახშმად მოვხარშო თუ შეეწვა?

კაც – ქათმის ღრანჭი ხომ არ გიჭამია, ქალო, მომცილდი თავიდან!
წადი, ღელაკაცო, შენს ავადმყოფს მიხედე.

ხათუნა – ძაბული ადგას თავს.

კაც – ძაბული როდის ჩამოვიდა?

ხათუნა – გუშინ, ღამით, უამინდობას რკინიგზა დაუტბორავს და ზღვა-ზღვა უმგზავრია. ზუგდიდში სამსახური მიუტოვებია და ჩამოსულა. ობლებიც ოქუშში ჩამოუყვანია მამისეულ სახლში.

კაც – მერე არის მაგის ღირსი შენი შვილი? არაფერი მოიმოქმედოს ქალიშვილ ქალთან.

ხათუნა – რას ამბობთ, ბატონო?! ჯერ არც არზაყანმა და არც ძაბულიმ არ იციან, რა არის მათ შორის ქალი და კაცი. ღელის სიახლოვეს როგორ ჩაიდენს ასეთ რამეს აფხაზი ვაჟკაცი. აკვანში არიან დანიშნული და რა ქნას ქალმა, ეცოდება... უყვარს ალბათ იმ დალოცვილიშვილს.

კაც – მიდი, თბილი წყლით ფეხები დაუზილე შენ ვაჟბატონს.

ხათუნა – ექიმმა სთქვა, რომ...

კაც – *(აწყვეტილებს)* დაანებე თავი ექიმს, რაც ვითხარი, ის გააკეთე. ურჩიე, გადაიფიქროს თბილისში წასვლა, თორემ იქ ტარბები ისევე მოკლავენ, როგორც მალაზონია მოკლეს მოსკოვში. მეც არ ვეყოლები, რომ მივეშველო.

ხათუნა – ტარბებს დაუქაღნიათ, თუ გზაში ვერ ვნახეთ, შინ მიუვარდებით და არზაყანს ოთხში ამოვიღებთო.

კაც – *(თავისთვის)* ჩემ შვილს ბეწვიც რომ გავარდეს, მალაზონიებს და მაგ ტარბებს სულ ერთ ღლეში გადავწვავ.

ხათუნა – ბატონო! ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და ეგებ ჩვენით შევიდეთ კოლექტივში...

კაც – ორივე წადით ჩემი სახლიდან! კოლექტივის ძროხები მწყემსეთ! ნემსსაც არ გაგატანთ, იცოდეთ!! *(ხათუნა გადის. შემოდის ალშიბაია)*

ალშიბაია – გამარჯობა, კაც!

კაც – შარდინ? რაზე გარჯილხარ?

ალშიბაია – შენთან მე გამომგზავნეს, ვინმე უზრდელ მილიციელს რომ უხიაგად არ ეთქვა: მებრალეები, სულო! მე კარგად ვიცი პირუტყვის სიყვარული, მაგრამ მე პატარა კაცი ვარ, მე ვინ მკითხავს ქვეყნის ამბავს, სულო! ახალმა რაიკომის მდივანმა არენბა არლანმა განკარგულება გამოუგზავნა ოქუშის თემსაბჭოს. შავსიელ კაც ზვამბაიას ორივე ცხენი უნდა ჩამოერთვასო.

დანარჩენი პირუტყვიც კოლექტივის თავლაში უნდა მოათავსოთო. ახლა თავლაა გასაკეთებელი და ამიტომ ეს სამი დღე პირუტყვი თქვენთან დარჩება. ცხენები კი უნდა წავიყვანოთ. გარეთ მიცდიან. *(უპასუხოდ გაიპარა. კაც ერთხანს უძრავად ზის, მერე ნაჯახს დასწვდება და გადის)*

ავტორი – შეძრწუნებული გარბოდნენ კუდმოღერილი ხარები, დაფეთებული ფურკამეჩი ყროყინით ეხეთქებოდა ლობებს, გარბოდნენ დაბორკილი თხებიც. ხმაურზე სამზადის კარი გამოაღო ხათუნამ და სწორედ ამ წუთში ფურკამეჩს თავი გააგდებინა კაც ზვამბაიამ კაკლის ქვეშ. სხვა პირუტყვიც იქვე ეყარა.

ხათუნა – რა გიქნია, ბატონო, ეს?

ავტორი – ნაშუალამევს მობრუნდა არზაყანის მოზვერი და რა მოაღწია კაკლის ქვეშ, დაყნოსა თავისი ჯილაგის სისხლით დაცვარულ ბალახს და მთელი ღამე სამინელის ხმით ბღაოდა. მთელი ღამე სტიროდნენ კაკლის ქვეშ სისხლის წვეთები ბნელში.

მეჩვიდმეტე ეპიზოდი

ავტორი – ოცდაშვიდ აგვისტოს მთვარე სრული ხდება. სწორედ მარიამობის წინა ღამეს მნათე აიღებს და სამჯერ ჰკრავს ბუკს. ოქუშში ჯერ კიდევ დარჩენილი იყო უძველესი ბუკი. აქაურმა მნათემ უფრო სარფიან საქმეს მოკიდა ხელი; ამიტომაც ლუკაია ლაბახუამ იკისრა ეს საქმე. უნდა გენახათ, რა სასაცილო იყო ეს ქონდრის კაცი, როცა ეს უზარმაზარი ბუკი გაირჭო პირში. მერე ხატი დაჰკიდეს ლუკაიას მკერდზე. მოზიმშივე ბრბო გარს შემოერტყა ლუკაიას. ოისა – შესძახა ლუკაიამ. გაისა – დაიქუხა მრევლმა. ოისა – გაისა ისმოდა გრიალი. სამჯერ შემოუარეს ეკლესიას. მრევლს უკან მოსდევდნენ აპარატმომარჯვებული ფოტოგრაფები და კინოოპერატორები, მათი შოფრები და სხვანი. და ამ „ოისა – გაისას“ რეფერენში პარიზული კოსტუმის გამო, კანტიკუნტად ისმოდა: ლუკაია პიჟონ! ლუკაია ჩარლსტონ! ლუკაია ჩემბერლენ! თარამ ემზვარმა ბლოკნოტი ამოიღო და დაწვრილებით ჩაიწერა ეს ცერემონიები, რადგანაც ბევრი რამ დროს წაეშალა მისი ხსოვნიდანაც.

კაც – *(თარაშს)* მაღლობა ღმერთს, ჩემ სახლში რომ გხედავ მშვიდობით. *(გადაეხვია)* ამ ჩოხაში პირწავარდნილი მამაშენი ხარ. გამარჯობა, ლუკაია... რაა ეს რომ ჩაგიცვამს?

ლუკაია – თარაშმა მაჩუქა, შენი იყოსო.

თარაში – არზაყანი შინ არის? როგორ აქვს ფეხი?

კაც – გაუწყრა მაგას მამაზეციერი! ფეხის ნაცვლად კისერი რომ მოეტენა და მომკვდარიყო, ჯობდა მარა... ე, შენი გამზრდელი მოდის, მიდი, გადაეხვიე, სულ შენ ნატვრაშია უბედური. *(თარაში ხათუნას გადაეხვია)*

ხათუნა – შენ გენაცვალე, ნან, შენა ხარ ჩემი იმედი. შენ არ გეგხარ კულაბზიკა თავადიშვილებს, ვინც ძიძასა და მამამუჟუს არ კადრულობს. კარგადა ხარ, ნან, გაზრდილი და განათლებული. ღიდი კაცი ხარ და თავმდაბალი; გვიშველე რამე. კიდევ კაი, რომ ამ უბედურ ჟამს მოხვედი ჩვენთან. შენ უნდა შეარიგო სამტროდ გადაკიდებული მამა-შვილი.

კაც – მაგას აღარაფერი ეშველება. ზღვასავით ოჯახი დამიქცია. მე აწი რაღა კაცი ვარ. გდია იქ სამზადში და არის თავისთვის. ეზოს ნახევარი ვარგუნე. თხრილით შემორაგვა და ისიც კოლექტივში შეიტანა. ამ თხრილს აქეთ ვერ გადმოვა და ვერც ჩემიანები მივა მასთან თუ მცემს პატივს. არ მინდა სამტროდ დაუბრებული შვილი.

ხათუნა – რა ვქნა? ეს ყოფილა ჩვენი ბედი! შვილის ნახვის უფლებასაც არ მაძლევს. ძმებს უკრძალავს ძმის ნახვას. ღამღამობით მივიპარები, როცა დაიძინებს. არის გამოკეტილი თავის სამზადში. მარილსა და ღომს ვიკმარებდი, ოღონდ ძაბული შეირთოს და დაოჯახდეს. ურჩიე, ბაბასქუა, უძეოდ ნუ გადაეგება. ქვეყანას ვინ შეცვლის. მთა და ბარი ვის გაუსწორებია, მარტოკა ჩემმა შვილმა რომ გაასწოროს?!

კაც – მობრძანდით ოდაში!

ხათუნა – კარგი იქნება, თუ არზაყანს ინახულებ. გაეხარდება შენი ნახვა.

(სამზადში)

არზაყანი – გახედე ერთი, ვინ გვესტუმრა? რა ხმები ისმის?

ძაბული – *(გაიხედავს)* დედა! თარაში და ლუკაია მოსულან.

არზაყანი – *(ძლივს მივა ფანჯარასთან)* შეხედე, ძაბული, როგორ შეენის ჩოხა თარაშს.

ძაბული – შენ უფრო გიხდება ჩოხა.

არზაყანი – რა ჩაუცვამს ეს ლუკაია გადარეულს?

ძაბული – უთუოდ თარაში აჩუქებდა მაგ კოსტუმს. პარიზში იქნება შეკერილი! სულ გააგიჟა მაგ შენმა თარაშმა საწყალი ლუკაია.

არზაყანი – როგორც ჩანს, თამარი და თარაში შემთხვევით წასულან თბილისში ერთად. ეს რომ არა, თარაში როგორ დატოვებდა მარტოკა იქ? თუ მოვა, ნეტავი, ჩემს სანახავად?

ძაბული – თამარმაც ხომ არ გინახულა.

არზაყანი – უფლება არა აქვს ძველი ტრადიციების მქონე ოჯახში გაზრდილ, გაუთხოვარ ქალს უცოლო კაცი მონახულოს.

ძაბული – ზუგდიდში ამბობენ, თამარს თარაში ემხვარი ჰყვარებიაო. უნახავთ, შარაზე როგორ მიუცილებია სახლამდე.

არზაყანი – შენც ხომ გაუცილებიხარ.

ძაბული – გაუცილებივარ, მაგრამ არ უკოცნია.

არზაყანი – ლამაზ ქალს ვინ არ აკოცებს. ღვინო თუ დარჩა ცოტაოდენი?

ძაბული – სტუმრისთვის იკმარებს.

არზაყანი – რაო, ექიმმა, როდის შემეძლება თავისუფლად სიარული?

ძაბული – კიდევ ერთი კვირა და სავსებით გამოჯანსაღდებაო.

არზაყანი – ერთი კვირაც და გავვარდები თბილისში, მერე ინსტიტუტი და... *(სიძღერა შეაწყვეტინებს)* რა ამბავია?

ძაბული – *(შეშინებული)* ვიღაცები მღერიან!

არზაყანი – რისი გეშინია, მერე? გახედე ვინ არიან?

ლუკაია – *(შემოდის)* გამარჯობა, ძაბული.

ძაბული – გამარჯობა, ლუკაია

ლუკაია – მალანურები მოვიდნენ

ძაბული – *(არზაყანს)* მალანურები მღერიანო.

არზაყანი – რა დროს მალანურობაა. ვის რად უნდა მალანურობა. *(მალანურები შემოიჭრებიან. სახლს ლოცავენ)*

ლუკაია – *(თითქმის ყველას ცნობს)* ო, ბარდლა, შენა ხარ, გიცანი! ო, ტაბუ, უუუ! ამბროსი ხარ... უუუ! *(შემოიჭრებიან ტარბები. შეშინდა. აღრიალდა)* ვო კაც, ტარბები! ტარბები! *(შემოვარდებიან კაც და თარაში. ერთს კაც მოკლავს, მეორეს – თარაში. საზარელი სიჩუმი)*

კაც – ვახშობამდე უნდა გავეცალოთ აქაურობას. ძაბული, გადი ჩემს დედაკაცთან და უთხარი, საგზალი მოგვიმზადოს.

არზაყანი – მერე ოჯახი და საქმე უპატრონოდ დავტოვო?

კაც – მაშ, რა ვქნათ?

არზაყანი – მე ვერ წამოვალ!

კაც – ისევ შენ ჭკუაზე გინდა იარო?

არზაყანი – აბა, შენ ჭკუაზე ხომ არ ვივლი?!

კაც – ხმა! კრინტი! ჩქარა! ცხენები!

ავტორი – იმ დღესვე ოქუმიდან გადაიკარგნენ: კაც ზვამბაია, მისი ვაჟი არზაყან და თარაშ ემხვარ. თუ ჩვენმა მაყურებელმა იცის, რას ნიშნავს მოსისხარის გაჩენა საქართველოს მთიან პროვინციაში, ადვილად წარმოიდგენს ჩემი გმირების უბედურებას. ერთი თვის მერე ხმა დააგდეს ოქუშში: კაც ზვამბაია, თარაში და არზაყანი ტყეში შემოაკვდათო ტარბებს და მერე ენგურში გადაუყრიათო გვამები, ენგურელი მეზორნეც ამტკიცებდა, სამი ჩოხიანის გვამი ჩამოატარაო ენგურმა, ვგონებ, ისინი უნდა ყოფილიყვნენო. ხათუნამ ქმრისა, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი გამოიგლოვა; ხოლო ძაბულიმ არზაყანის ქვრივად გამოაცხადა თავი და ჯვალოს ძაძა შეიკერა კიდევაც. ხოლო მე, ამ უბედური ამბავის ავტორი, დავღონდი ფრიად და სასოწარკვეთილმა გადავწყვიტე: თხრობა შემეწყვიტა სავსებით!!

მისამე მოქმედება

მეთვრამეტე ეპიზოდი

ავტორი – ისე გავიდა სექტემბერი და ოქტომბერი ისე მიიწურა, ოქტომში დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა – რა ბედი ეწია ჩემს გმირებს. სვანეთში ტყეში მომხდარი უეცარი შეტაკება საკმაო იყო და მოცლილებმა ხმა დააგდეს: ორივე მამა-შვილი და ემხვარი სვანეთში მოკლესო; ეს მეორეჯერ შეიცხადეს მაიამ, ხათუნამ და ძაბულიმ ჩემი გმირების სიკვდილი. მაია ოქტომბერში გაცივდა, შაბათ საღამოს ილოცა, ჩაწვა ლოგინში და მეორე დღეს მკვდარი იპოვნეს. ხათუნას ყოველდღე გამოჰქონდა ქმრისა, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი თხილნარში და მოსთქვამდა უამბოდ გადაგებულებს.

ხათუნა – ბატონო, შენი ზღვასავით ოჯახი თავზე წამოგვექცა. შენი ყანები კოლექტივმა დახნა, შენი მიჯნების საბანები მაღაზონიებმა, მაქაცარიებმა და ტარბებმა გადალახეს. ბატონო, სად ხარ ახლა, შენი სატევარი წელზე შემოირტყა, შენ თოფს ხელი წაავლო და დაიცვა შენი სარგო მიწის ნაჭერი, ბატონო. ო, ვაჰ, ვაჰ! არზაყან, შე უგულო, დედა არ გეცოდება, ო, ნანა, შენ დედის გულის მომკვლელი ხარ, შვილო, შენ გაამწარე ჩემი სიცოცხლის დღეები, შენ შემოგვევლოს დედაშენი, ო, ნანა, შენ მამის ურჩი იყავი, შვილო, იქ მაინც ნუ გაამწარებ უხანოს, გაუგონე მოხუცებულს, შვილო. შენ ცხენს არაბიას არენბა არლან დააჭენებს, არენბა არლან კისერმოსატენი, წმინდა გიორგი და ჯვარის მთავარანგელოზი კისერს მოუგრებს არენბა არლანს. მოსრას ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ მაგ შენ დამღუპველ ტარბების ჯიში, ზღვაში ხომალდი დაექცეს ზღვაზე მიმავალთ და ხმელზე ცხენი წაექცეს ცხენოსან ტარბას, წყალზე ბოგირი ჩაექცეს ბოგაზე შემდგარს, ხრმალი ბრძოლის დროს ზედ ვადასთან გადაუტყდეს. მოსრას ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ შენი მტრის ტარბას გვარი, მათი ჯილაგი. ტარბას ქალების ნაშიერი გაჟლიტოს მაღალმა ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ, როგორც ენგური, გაზაფხულზე გაცოფებული, ჯინჯველების კვერცხებს გადალეკავს ნაპირზე დაყრილს. შენი ძაბული გადაგყვა, შე უმადურო, ორივე ძმა პელაგრისაგან დაეხოცა, თავისი მამის ძველი ფაცხა გამოკეტა, ფუძე და ფუტი

ჩაიქრო მამის სახლკარში, გვერდით მიდგას სიბერეში შენი დაბული. შენთვის მტირალმა თავი ქვრივად გამოაცხადა, შენი სახელის სსენებაზე ფითრდება, შენს ხელნახლებ თოხს ჰკოცნის შენი დაბული, შენ უნაგირს სასთუმლიდან არ იშორებს და შენს სატევარს. ვაჰ, ნანა! ჩემი გაზრდილი ე მანდ კარგად შეინახე. შენი მშობელი ძუძუებით ვზრდიდი მასაც. ხორციელ ძმაზე მეტი იყო შენთვის თარაში, ბრძოლაში, ჭირში მხარი მანვე დაგიმშენა. შენი გულისთვის დაეძგერა ის ჯამლეთ ტარბას და ეს სიცოცხლე გასწირა კიდევ თარაშმა. ვოჰ, ნანა! შენც უგულო, მუხანათი ყოფილხარ, თარაშ, დააგდე დედა უბედური და სველავსილი, დედა საფლავში ჩაიტანა შენს გამო დარღმა. ან მე რაღა ვქნა ბეღდამწვარმა შენმა გამზრდელმა, შენი იმედი მქონდა, ჩემო შვილისა სწორო, ტკბილო გაზრდილო. მე მოვმკვდარიყავ, შვილო, შენს მაგიერ და არზაყანის ნაცვლად ჩავსულიყავ ბნელ სამარეში. იმ კაცის ნაცვლად მე მოვმკვდარიყავ, ჩემთვის სამივეს რომ ჩაგეცვათ შავი, ეს ჯობდა... ვაჰ, ნანა! ვაჰ, ნანა!

მეცხრაშეტი ეპიზოდი

სვანურ დარბაზში

მახვში — რა ამბავია ქვეყნად, ბატონო? რა ამბავი ამოგვიტანეთ სვანეთში?

არზაყანი — მშვიდობაა ქვეყნად, ბატონო!

მახვში — მშვიდობაო? ჯესმიმო, სად არის მერმე ეს მშვიდობა?

არზაყანი — მშვიდობა მოდის ქვეყნად, მახვშ ბატონო?

მახვში — ეს მართალია, აღამიანებმა ფრენა ისწავლეს და ცაში აფრინდებიანო? იქიდან თოფის სროლაც შეიძლებაო, ამბობენ. ასეთი რამ ჯერ არ მინახავს.

არზაყანი — მართალია, მახვშ ბატონო... იქიდან ზარბაზნის სროლაც შეიძლება, რამდენიმე საათში მთელი ქალაქის აფეთქება და განადგურება შეიძლება.

მახვში — ესაც მართალია, სახლები დაცურავენო ზღვაში, რომ ამბობენ, ჩემს კოშკზე უფრო დიდი სახლები? იქიდანაც შეიძლება ზარბაზნის სროლა, მართალია?

არზაყანი – ესეც მართალია.

მახვში – ფუი ემმაკს! ფუი ემმაკს! (*პაუზის შეძღვევ*) ქვეყანა რამხელა იქნება?

თარაში – ქვეყანა დიდზე დიდია.

მახვში – მაინც რამხელა იქნება?

თარაში – უშბაზე დიდი. ისეთი დიდი, რომ კაცის თვალი ვერ გასწვდება.

მახვში – თუ ასე დიდია ზღვა და ხმელი, თუ ასე დიდია ცა, მაშ ვინ იქნებოდა ის, ვინც ისეთი რამ შექმნა, რასაც კაცის თვალს ვერ გასწვდება?

თარაში – უეჭველია, მახვშ ბატონო, იგი გაცილებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე ქვეყანა, ზღვა და ცა, ვიდრე თვით უშბა, ბევრზე ბევრად გამრავლებული.

მახვში – შენ გინდოდა გეთქვა, ღმერთი! არა?

თარაში – ჰო, ასე ვთქვათ.

მახვში – ჯესმიმო, გზა ხაიშამდე მოსულა, არა? ეს გზა ვერ მოგვიტანს მშვიდობას, არა?

არზაყანი – ვინ სთქვა ეს, მახვშ ბატონო?

მახვში – ვინ იტყოდა? მე ვთქვი. ურწმუნოება შემოვა ამ გზით! ბოლშევიკები მომრავლდებიან ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს კოშკებს ააფეთქებენ, ჩვენს მთებს გადალახავენ, ჩვენს ხატებს შეგვილახავენ!

არზაყანი – ეს ასე არ იქნება, მახვშ ბატონო! თქვენი კოშკები უვნებელი დარჩება. თქვენი ხატებიც. განათლება შემოვა ამ გზით, მახვშ ბატონო!!

მახვში – ზარბაზნების ხმა ისმის ჩვენს კალოებზე. უკვე ახლოა?

არზაყანი – ჯერ კიდევ შორსაა.

მახვში – მაინც რამდენ მანძილზე?

არზაყანი – ერთი დღის სავალზე.

მახვში – როდესაც გზა ჩემს კოშკამდე მოვა, მე აღარ მინდა მეტი ვიცოცხლო!

მეოცე ეპიზოდი

შარვაშიძეებთან

დაშა – ჭორია თუ მართალი, ოქუშში ამბავი მოსულა, თარაშ ემხვარ
ჩერქეზეთში გადაუყვანიაო კაც ზვამბაიას და იქ იმაღლებო.

თამარი – სხვას კიდევ რას ამბობენ?

დაშა – მეტს არაფერს.

თამარი – ჩემს გასაგონად ვინმემ აუგად რომ ახსენოს თარაშის
წმინდა სახელი, ვერ მოვითმენ. კიდევაც ცოცხალი აღმოჩნდეს
ემხვარი, ცოცხალი და ჩემგან წასული, მაინც არავის ვათქმევინებ
მის აუგს. ნეტავი, ეგ სიმართლე იყოს და ცოცხალი აღმოჩნდეს
მისოუსტ. მარტო შევუღლები ამ მძიმე ჯვარს ბედისწერისაგან
დაკისრებულს.

დაშა – დამშვიდდი, თამარ. შენთვის ბორგვა და შავი ფიქრები არ
შეიძლება.

თამარი – ღმერთო, როგორი უღმობელი ხარ, რა დაგიშავე მე
უბედურმა?! ჩემი პირველი სიყვარული გესლად მიქციე, უფალო,
იგი გადაკარგე და მე მარტოკა დამტოვე. როგორი უღმობელი
ხარ, უფალო!

დაშა – დამშვიდდი... ეცადე, დაიძინო... მალალი სიცხე გაქვს...
მოისვენე...

ტარიელი – დაშა! დაშა! *(დაშ ტარიელს ეახლა)* წადი, ის ბედშავი
ლუკაია მომიძებნე, კბილის ექიმი შურლაია უნდა მოვიდეს და
შეეგებოს, ჭიშკარი გაუღოს.

დაშა – კბილის ექიმი?

ტარიელი – რა გიკვირს? შურლაიამ ყველაფერი იცის!

დაშა – აგერ, ბატონო, ვილაცამ გადმოლახა ჭიშკარი...

ტარიელი – ეგ ვინ უნდა იყოს? ფერაძე? ეგ ხომ ქალის ექიმა!

კაროლინა – მობრძანდით, ექიმო! *(თამარის ოთახში შეიყვანს)*

ტარიელი – ლუკაია, მე შურლაია მოვიწვიე და ეგ ქერა ფერაძე
ვინ გამოიძახა?

ლუკაია – მე რა ვიცი, პატენისქუა! *(კაუზა)*

ტარიელი – მეორედ მოსვლაა, მაშ, რა ჯანდაბაა: არავინ არაფერს
მიჯერებს! *(გამოდიან ფერაძე და კაროლინა)* როგორაა საქმე,
ექიმო?

ფერაძე – მე მგონია, ბატონო ტარიელ, არც საქმის გაიოლება ივარგებს ამჟამად. საქმე ძალიან სერიოზულადაა, ჩემის აზრით.

ტარიელი – მაინც რა, მაინც რა?

ფერაძე – მე ვფიქრობ, მამაო, თქვენ ჩვენზე სულგრძელად უნდა შეეგებოთ საფრთხეს. ხომ გაგიგონიათ, ჭირსა შიგან გამაგრება...

ტარიელი – *(აწყვეტილებს)* თუ კაცი ხარ, ლექსებს თავი დაანებე! შენ ეს მითხარი, რა სჭირს ჩემს ქალს? თქვენ ასე იცით ექიმებმა წილადობილა.

ფერაძე – ეკლესიაში რომ გული წასვლია და დაცემულა, ეტყობა თავი მაგრა დაურტყამს. უეჭველად, მცირეოდენი შერყევა აქვს, გონების შერყევა. *(ტარიელმა ხელი საფეთქელში იტაცა)* ფრთხილი და ფაქიზი მოვლაა საჭირო; სულიერი დეპრესიის ნიადაგზეა ეს ყოველივე მომხდარი. თუმცა, შესაძლოა გაუაროს კიდევაც ამ დეპრესიამ.

ტარიელი – შენადგლიანობა დამართვია?

ფერაძე – გარდა ამისა, აქ სხვა რამესთანაც უნდა გეჭონდეს საქმე. ხერიპის ჩამოვა და მას ვეტყვი, ასე სჯობია.

ტარიელი – როგორ თუ ხერიპს ეტყვი და მე არა. ხერიპსი ვინაა? ხერიპსი რა შუაშია? ჩემი ქალის ამბავი მე არ უნდა მამცნოთ?! ხერიპსი... ხერიპსი... ახლავე მითხარით, რა სჭირს ჩემს ქალს, ახლავე, თორემ აქედან ცოცხალი ვერ გახვალთ, იცოდეთ!

ფერაძე – მართალი ბრძანდებით, მამაო. მე უთუოდ მოვალე ვარ, პირველად თქვენ გაუწყით თქვენი ქალის ამბავი. მაშ, დამშვიდდით და მომმისმინეთ: თქვენი ქალი ორსულადაა. იგი ჩემის ვარაუდით მესამე თვეში უნდა იყოს გადამდგარი.

ტარიელი – რაო? რა სთქვი? რა თქვა? რას როშავთ? *(ბიჯაკის ბორტებზე ჩაკვლი ხელი, ანჯღრევს)* როგორ მიბედავთ თქვენ ასეთ რამეს? თქვენ ვინა გგონივართ? ჩემი ქალი და ორსული? თქვენ ხომ არ გეშლებათ, ეს ტარიელ შარვაშიდის ოჯახია, გესმით? გესმით? თქვენ არაფერი იცით, ექიმებმა. მე თქვენთვის არ დამიძახნია. მე შურლაია ექიმს დავუძახე და თქვენ მოხვედით. არ გნახოს ჩემმა თვალებმა ამიერიდან ჩემს სახლში!! *(ექიმმა თავი გაითავისუფლა და კარისკენ გასწია. ტარიელი შეტორტმანდა და გულწასული სავარძელში ჩაესვენა)*.

ოცდამეერთე ეპიზოდი

სვანეთი

არზაყანი – ვის ეძებ, მისოუსტ?

თარაში – სად არიან შინაურები თუ იცი?

არზაყანი – ყველა ხატობაზეა წასული. მურყვანობააო დღეს, ასე სთქვეს – კოშკის დღესასწაული. ამ დღეს ნაყოფიერების ღმერთს – ფალოსს ევედრებიან სვანები.

თარაში – შენ არ იცი, სად არის ხატობა?

არზაყანი – საოცარია, როდის მუშაობს ეს ხალხი? ამდენი ხატობა, ამდენი დღესასწაული, ღვთის დღე, მკვდრის დღე, თხუნელას დღე და არ ვიცი, კიდევ რისი.

თარაში – მათი ცხოვრება ასეა მოწყობილი, ადამიანმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იმუშაოს, მეტი ილოცოს და იმხიარულოს. რას ერჩი?

არზაყანი – არა, მისოუსტ, არ გეთანხმები. ცხოვრება შრომისა და ბრძოლისთვისაა გაჩენილი.

თარაში – იმიტომაც სვამ ამდენს ამ ბოლო დროს?

არზაყანი – აბა, რა უნდა ქნას ამ ბნელეთში კაცმა?

თარაში – ვინ როგორ და მე აქ კარგად ვგრძნობ თავს. *(იქექება)*

არზაყანი – რას იქექები?

თარაში – შემჭამა რწყილებმა.

არზაყანი – ახია შენზე! ეგეც შენი რომანტიზმი. აკი ძალიან მოგწონს მახვშის სვანეთი? ვნანობ, მამაჩემის პანიკას რომ აყვევი. ჩვენ, ბოლშევიკებს ტარბები კი არა, მთელი ქვეყანა ვერას დაგვაკლებს, ტარბები ვინა გდია? ცხენის ქურდი ტარბები. მაგათი როგორ უნდა შეგვშინებოდა?! აღარ შემიძლია ამ ბუნავში ცხოვრება. ანწლის არაყი და თხის ხორცის ჭამა. სინათლე მომენატრა. სუფთა საწოლი. გაზეთები, წიგნები, კულტურა. ესაა ცხოვრება. ამ ბნელეთში რა ცხოვრებაა? უნდა წავიდე.

თარაში – მამა წინ აღუდგება მაგ შენ სურვილს.

არზაყანი – რა გუფოთ მერე. მის შეგნებაში ჯერაც ძველი დროა, როცა სისხლის მაძიებელნი თავზარს სცემდნენ მთელ სოფლებს, მთელ გვარს. ეგეც არ იყოს, უასაკო ჭაბუკი ზომ არა ვარ, მამის ჭკუაზე ვიარო? მამას არც გაუშხელ, ისე წავალ, თორემ ყაყანს ასტეხავს ბერიკაცი. უნდა წავიდე! შენ რას იზამ?

თარაში – ვითხარი, აქ კარგად ვგრძნობ თავს. საათი გამიჩერდა, კალენდრის რიცხვები ამერია. ალბათ, არც არავის ეცოდინება, რომელი საათია. სული მშვიდდება ასეთ გარემოში. დროის შეგრძნებას მოკლებული ხარ.

არზაყანი – ვიცი, რატომაც ითრევ ფეხს. ეს მართალია, ლამარიას ირთავსო?

თარაში – მე გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ ლამარიასთვის ჯერ არაფერი მითქვამს. მამამისმა – სიძელ მინდევხარო. მეც დავეთანხმე.

არზაყანი – სერიოზულად ამბობ ამას?

თარაში – რად გიკვირს?

არზაყანი – რა შენი საქმეა გაუნათლებელი ქალი?! ვვინებ, წერაკითხვაც არ იცის.

თარაში – სწორედ მაგიტომ მომწონს. მართალია, დაჭორფლილი, ტლანქი ქალია, მაგრამ ძუძუმკერდი ჯერ კიდევ მკვირივ აქვს. მისი განიერი თეძოები თორმეტიოდე ვაჟს მაინც შემატებს ქორა მახვშის მოღვმას. (*გურანდლუხტმა ჩაიარა*) ეგ იქით იყოს და დაინახე, გურანდლუხტმა რომ ჩავვიარა?

არზაყანი – აბა, რა!

თარაში – არ გაინტერესებს სად მიაქვს ის კვერები? წამოდი, არზაყან, საოცარი რამ უნდა გიჩვენო, ოღონდ, ხმა არ გაიღო, იცოდე!

არზაყანი – ბატონი ბრძანდები!

გურანდლუხტი – მეზირ, ლემეზირ, შენი სტუმარი ვარ. შემიხვეწიე, შემიბრალე, ტანი მრთელი მომეცი, გული მხიარული. შენი წყალობით გამახარე, შენი სტუმარი ვარ, შემიხვეწიე. დილო უფალო მეზირ! ბოროტი და ვნებიანი ამაშორე, დამიცევი ყოველ ვნებისაგან, ყოველ ბოროტებისაგან, ავი თვალისაგან და ხარბისაგან, დილო ბატონო, უფალო მეზირ! ღერბეთ ამმარჯუ დიდაბ! ანსალა, მანსალა, მიწი ბაძგარი, მიწი გარგარიტა, ასთი ორჯაო, მიწი ასკალი, მიწი გარჯანა... ღერბეთ ამმარჯუ, დიდაბ! ანსალა, მანსალა! (*მეღის*)

თარაში – (*ჩურჩულით*) ხედავ, პაწია საკურთხეველიდან რომ გამოძვრა ძერასფერი გველი? ხედავ, თავკისერს როგორ იღერებს? კვერებს დაერია. ხედავ, როგორ ასავსავებს ორკაპიან ენას და მზეზე როგორ აციმციმდა ორი გამხვრეტი თვალი?

არზაყანი – აჰა! ეგ არის ქორა მახვშის მეზირ? მე და ქორას

შვილიშვილს გვინდოდა გუშინ მოგვეკლა! კინალამ ჯამში ჩამიძვრა ეგ ოხერი! *(ამის თქმა და სროლა ერთია. არზაყანამ მაუზერით თავი წააწვევია მეზირს)*

თარაში – რა ჰქენი, არზაყან! ქორა მახვში თვით სტუმარსაც არ შეაწვევს ოჯახის მფარველი ღვთაების მოკვლას. *(ხელი წაავლო არზაყანს)* თავს ვუშველოთ, თორემ დაგვხოცავენ, იცოდე. აბა, ცოცხლად! ეგებ კომკამდე მივასწროთ და გუდანაბადი და თოფები გამოვიტანოთ! *(გარბიან)*

ოცდამეორე ეპიზოდი

ღვეის ქვაბში

თარაში – ეს რა ღვთის რისხვია: სამი ღღეა გადაუღებლად და კოკისპირულად წვიმს. ასეთი წვიმა არც მინახავს.

არზაყანი – ცუდი ისაა, ამ ნოტიოში წოლამ ძველი ნაჭრილობევი იარები განმიახლა და ძალიან მაწუხებს... ეს რომ არა, უკვე თბილისში ვიქნებოდი.

თარაში – ცეცხლთან ახლოს დაწეკი, ეგებ, ჩაიძინო. სამი ღღის მშიერს გემრიელად ვერ ჩაგეძინება. მაგრამ ეცადე... მე კი წავალ და ვიღრე ჯიხვს არ მოვინადირებ, არ დავბრუნდები.

არზაყანი – ჩემი თოფი წაიღე, შენსაზე უკეთ ისვრის...

თარაში – ჩემს ვერ ვუღალატებ. თანაც ეგებ დაგჭირდეს. ჯიხვი მოგადგეს ამ ღვეის ქვაბში და შეგვედროს – მესროლეო.

არზაყანი – მე მაუზერიც მეყოფა, ეგეთი სულელი ჯიხვის მოსაკლავად.

თარაში – აბა, თავს მიხედე... წავედი მე.

ჩაბნელება

(არზაყანს სძინავს. შემოდის კაც ზვამბაია. იქაურობას ათვალთვრებს. ფეხის ხმაზე არზაყანს გაღვიძება)

არზაყანი – *(თვალის გაუხელებლად)* თარაშ, ვაჟკაცი იქნები, თუ ახლა ჯიხვი მოგიტანია.

კაც – რაო, მოგშივდა?

არზაყანი – მომშივდა, საშინლად მომშივდა, მისოუსტ!

კაც – აბა, ცეცხლი, ჭამე, შვილო, ცეცხლი!

არზაყანი – *(წამოჯდა)* მამა!

კაც – კი, მაგრამ, ბიჭო, ასეთი უსვინდისობა შეიძლება? კაცმა პატივი გვცა, მიგვილო, შეგვიფარა... ასე რად მოიქეცი? ოჯახის მფარველი მეზირი როგორ მოკალი? ახლა სად აპირებ წასვლას. მახვშის ოჯახის რისხვას სად დაემალები? გშია, არა? მიბრძანდი და ცხელი ჭვიშტარების მაგივრად ჭირს გაჭმევენ, ჭირს! ტყვიას ჩავთხრიან მაგ მშიერ ხახაში! ისედაც მოსაკლავი მყავხარ: რა გინდოდა, ბიჭო, ლამარიასთან?

არზაყანი – *(დაიბნა)* რა მოხდა? ვეხუმრებოდი, ალბათ!

კაც – ლოგინშიაც ხუმრობით ჩაუწევი?!

არზაყანი – ეგ ტყუილია!

კაც – მე თვითონ შევასწარი, ღორო! ვაი, შვილო, შენ და მერე ფუი ლამარიას! ფუი ლამარიას! ეს გაუკეთე შენს ძიძაშვილს?

არზაყანი – რაკი ყველას ამდენს გაწუხებდით, აწი აღარ შეგაწუხებთ. *(ბარვს დასწვდა)*

კაც – სად მიხვალ, ბიჭო?

არზაყანი – სად მივალ? ეს მე ვიცი.

კაც – მე შენ გეკითხები: სად მიხვალ-მეთქი?

არზაყანი – თბილისს მივდივარ. ახლა რა გინდა?

კაც – როგორ თუ რა მინდა? შენ რომ ტარბემა მოგკლან, მაშინ ვინ იქნება პასუხისმგებელი შენი სისხლისთვის? შენს მოკვლას არ დავეძებ, შენი სისხლი რომ დაღვარონ, მე სისხლი უნდა ავიღო, რადგან შენ ჩემი სისხლი გაქვს მობარებული.

არზაყანი – ჩემი თავისთვის მე ვაგებ პასუხს.

კაც – შენ თუ მე?

არზაყანი – მე!

კაც – მე და შენ ვინ გაგვყო?

არზაყანი – ვინაც გამაჩინა!

კაც – ვინ გაგაჩინა შენ? მე გაგაჩინე და იცოდე, მევე მოგკლავ, შე ღორო! *(ხანჯალი დაადრო. შეიბნენ, ისძის სროლის ხმა. კაც დაეცემს)*

არზაყანი – მამა! *(მაუზერს გადაადგებს. გაქცევას აპირებს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრის. ბოლოს ნაბაღს გადააფარებს ცხედარს)*

ჩაბნელება

თარაშის ხმა – არზაყან, ჯიხვი მომაქვს, ჯიხვი! *(შემოდის თარაში)*
ნახე, რა ჯიხვია. შემოსასვლელთან დავაგდე... იქვე გავატყაოთ!
რა მოგივიდა, არზაყან!

არზაყანი – სად იყავი, კაცო?! შენ აქ რომ ყოფილიყავი, ჩვენ ეს
საქმე არ დაგვემართებოდა

თარაში – რა საქმეა? რა მოხდა?

არზაყანი – მამა მოგვიკლეს!

თარაში – ვინა? *(ახლა დახედა ნაბადვადაფარებულ ცხედარს.
ნაბადი გადახადა. მარჯვენა მხარზე ეამბორა)*

არზაყანი – შენ რომ წახვედი, მეორე დილასვე თავზე დამადგა
მამა. მერე ის იყო შენ დაგაგვიანდა. აიჩემა საწყალმა, ეგებ
რამე უჭირს, მივაკითხოთო. როჭოების კლდეებთანაც არ
ვიყავით მიღწეული, სამი ვინტოვკიანი მეჯოგე თავს დაგვესხა.
მე მგონია, ჯვარელი ტარბები იყვნენ. სროლა აგვიტყეს. მე
ჩემი მაუზერილა მქონდა... *(პაუზა)*

თარაში – მერე?

არზაყანი – მერე ის იყო მოგვიკლეს... სვანი მონადირეები
წამოგვეწიენ, თორემ ვეღარც მე გადავრჩებოდი.

თარაში – უეჭველად ტარბები იქნებოდნენ. ლამარიობას კონტა
ლაფარიანს ეკითხებოდნენ: ქორა მახვშთან ხომ არ სტუმრობენო...
(წამოდეგა) რას აპირებ ახლა?

არზაყანი – ოდიშში უნდა წავილოთ

თარაში – მეც რამდენჯერმე მთხოვა, თუ მოგვედე, აქ არ დამტოვოთ,
ოდიშში წაილეთ ჩემი ძვლებიო.

არზაყანი – ერთი ცხენი მაინც უნდა ვიშოვოთ.

თარაში – აქ ცხენს არავინ გვათხოვებს. სვალ-ზეგ ეგებ ცხენების
დალალი გამოჩნდეს ვინმე...

არზაყანი – მერე სად შევიწახოთ მამა ამ ორ-სამ დღეს? გაზაფხულია,
სუნი დადგება. ნადირმა არ გააფუჭოს.

თარაში – ყვითელ კლდეებამდე როგორმე ჩავიტანოთ და იქ სადმე
მალალ ნამეზე დავკიდოთ... ნაბადში გახვეული... ძველკოლხური
ჩვეულებაა ეს...

არზაყანი – ასეც მოვიქცეთ!

ჩაბნელება

ოცდამესამე ეპიზოდი

შარვაშიძეებთან

ლუკაია – გახედე შენს ხილნარს, თამარ. მობრუნებულია უკვე გაზაფხული. ალუჩა აყვავებულია, ვაშლის ხეს კვირტები გაეფურჩქნა.

თამარი – ვხედავ, ლუკაია, როგორ მიუშვირეს ალუბლებმა თეთრი ქოლგები მზის გულს. დილა – საღამოს ბუღბუღები უსტვენენ ისე ტკბილად, როგორც მაშინ, შარშანდელ აპრილის დღეებში, როცა მისოუსტ ჩვენთან იყო. თითქმის ყოველდღე მესიზმრება ისევ ისეთი, როგორიც იყო, მუდამ წვერგაპარსული, ფრჩხილებდაფერილი, პარიზული პარფუმის სუნი ასდის მის კოსტუმს, ცხვირსახოცს, ზამშის ხელთათმანს... სად არის ახლა? არც არავინ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი.

ლუკაია – სიზმარში ვნახე თარაში, შურიგე, შავი წვერი მკერდამდე სცემდა, თეთრი ეცვა. რაშივით ცხენს მოაგელვებდა...

თამარი – მისოუსტ...

ლუკაია – თეთრი სიკეთის ნიშანია. კარგად იქნება თარაში, შურიგე, მალე ჩამოვა, ამასობაში შენც მორჩები.

თამარი – ფანჯრები გააღეთ... სული მეხუთება!

ტარიელი – *(შემოდის, მაცხოვრის ხატი შემოაქვს. კედელზე დაჰკიდებს)* შენთან იყოს ეს ხატი, შვილო, ეს გიშველის გაჭირვების ჟამს. თავს როგორა გრძნობ?

თამარი – სული მეხუთება, მამი!

ტარიელი – ილოცე... ილოცე, შვილო. მაცხოვარი არ მიგატოვებს. *(ცრემლებს გამოასწორებს ოთახიდან)*

ხერიპსი – როგორ არის?

ტარიელი – რად არ გავაგდე ჩემი სახლიდან ის წყეული ემზვარი, ქალებმა დააქციეს ოჯახი. ემზვარებს ძველი სისხლი ემართათ შარვაშიძეებისა; ახლა ახალი უბედურება თავზე დაატყდა ჩვენს ოჯახს და ისევ ამ წყეული ემზვარის წყალობით.

ხერიპსი – ჩუმაღ, მამა! თამარი ვერ იტანს თარაშ ემზვარის აუგად ხსენებას. ან რა საკადრისია, ახლა რომ გამოდგე და ლანძლო კაცი. შესაძლოა, ყველაფერი გამოსწორდეს.

ტარიელი – რა უნდა გამოსწორდეს, ხერიპს... ექიმი მაინც არ იყო?! ვერა ხედავ, რა დღეშია ბავშვი?

ხერიპსი – უფალი არ მიგვატოვებს, მამავ ბატონო!

ტარიელი – და სწორედ უფალსა ვთხოვ. რვა საუკუნის შემდეგ ისევ ასდამერვე ფსალმუნის ლექსით შეაჩვენოს ჩემი დამლუპველი!! უფალო, დაადგინე ცოდვილი მასზედა და ემბაკი დადევინ მარჯვენით მისდა. იყენენ დღენი მისნი მცირე და გასაგებელი მისი სხვამან მიიღონ! იყენენ შვილნი მისნი ობოლ და ცოლი მისი ქვრივი აღიდრნედ და გარდაიცვალედ შვილნი მისნი.

თამარი – ყოვლად შემძლეო ილორის წმინდა გიორგი, შენ იფარვიდე მონასა შენსა თარაშ ემხვარსა.

ტარიელი – იყენენ ნაშიერნი მისნი მოსარეველ ერსა შორის და ნათესავისაგან აღირიცხონ სახელი მისი, და მოისპონ ქვეყნით სახსენებელი მათი.

თამარი – იხსენი თარას ემხვარი ყოველგვარი განსაცდელისაგან. შეიბრალე და შეუნდე ცოდვანი მისნი.

ტარიელი – ეყავ მას წყევლა – ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცვის და ვითარცა სარტყმელი, რომელ შეირტყას წელთა მისთა.

თამარი – მისოუსტ! ო, როგორ მინდა ერთხელ მაინც შეგავლო თვალი; ერთხელ მაინც გავიგონო შენი ხმა...

ტარიელი – კრულმცა არს ძილი და ღვიძილი მისი, საფლავი და სახსენებელი თარაშ ემხვარისა და სატანას გაუხსნელითამცა საკვრელითა შეიკვრის ტომით, ნათესავით და სახსენებელით მისითურთ...

თამარი – უფალო, გადმოხედე მოწყალე თვალთ და მექმენ მფარველად!

ტარიელი – გწყევლი და გგმობ შენცა უფალო, ვისაც ნახევარი საუკუნე გევედრებოდი და გიგალობდი.

ჩაბნელება

ოცდამეოთხე ეპიზოდი

შინდაბრუნება

არზაყანი – *(სახლს მიუახლოვდა. ჭიშკარი დაკეტილი დახვდა. ეზოში გადავიდა და სამზადს მიადგა)* ჰეი! *(პასუხი არ ისმის. კარს მიაწვა ჩარაზული დახვდა)* ჰეი! *(მაუზერის ტარით აბრაზუნებს)*

ძაბულის ხმა – რომელი ხარ?

არზაყანი – მე ვარ, მე. გამიღეთ კარი.

ძაბულის ხმა – შენ რომელი ხარ? (*პაუზა*) რომელი ხარ შენ?

არზაყანი – მე ვარ არზაყანი, ვერ მიცანი, ქალო?

ძაბული – სთქვი მართალი, ვინა ხარ? მე კარს ვერ გაგიღებ.

არზაყანი – არზაყანი ვარ-მეთქი, გუუბნები და სხვა რა ვქნა?

(*ძაბული კარს აღებს. გული მისდის. არზაყანი წაქცეულს მიეჭრა, ხელში აიჭაცა, ტახტზე დააწვინა, ეფერება, კოცნის*)
მე ვარ, შენი არზაყანი, ნუ გეშინია!

ძაბული – (*გონს მოეგო*) შენა ხარ? ხორციელი ხარ თუ მოღანდება?

(*ხელით მოსინჯა. ტირის. თვალებზე ხელს იფარებს*)

არზაყანი – ახლავე დავბრუნდები (*კარში გავა. ხურჯინს შემოიტანს*)

ძაბული – მამა სად არის?

არზაყანი – (*ხურჯინზე*) მამა აქ არის. ძლივს ჩამოვიტანე!

ძაბული – არა! არა! ხომ არ შეიშალე? ვინა ხარ? არზაყან რომ იყო, ამას როგორ მეტყოდი? რა უყავით მამა?

არზაყანი – მე რას ვუხამდი, ძაბული? ტარბებმა მოგვიკლეს მამა!

ძაბული – დედა უ! (*თმებში ხელი წაივლო*) რა ვუთხრათ ახლა დედა ხათუნას? ტარბებმა მოგვიკლესო?

არზაყანი – დედა სად არის? (*ძაბული ტირის*) სად არის დედა?

ძაბული – საავადმყოფოშია. მალე გამოწერენ, კარგად არის. ეს როგორ ვუთხრა, არზაყან? არ იტყვის, თქვენ სად იყავით – შვილი და გაზრდილი? გრცხვენოდეთ! ორმა ვაჟაკცმა ბერიკაცი ვერ იპატიეთ.

არზაყანი – მარტო წავიდა სანადიროდ, დაუხვდნენ ნადირობის დროს მთებში. ვერ მივუსწარიტ მე და თარაშმა. ჩვენც მოსაკლავად დავგსდევდნენ. ჯერ დევის ქვაბში დავიმაღეთ, მერე ყვითელ კლდებამდე ძლივს ჩამოვიტანეთ და ძველი კოლხური წესით მაღალ ნაძვზე ავიტანეთ ნაბადშიგახვეული, მხეცებს რომ ხელი არ ეხლოთ. მაგრამ მეორე დღეს, ვიდრე ცხენი ვიშოვნეთ, არწივებისა და ორბებისაგან აი, ამ დღეში ვიხილეთ. ცარიელი ძვლებია! (*ძაბულის ეფერება, მაგრამ ძაბული ერიდება. ხელიდან გაუსხლტა*)

ძაბული – ჯერ გონს არ მოვსულვარ, არზაყან, ამაღამ ხელს ნუ მახლებ! ხელის მოწერამდე ხელს ნუ მახლებ!

არზაყანი – *(გაცოფდა)* ეგებ შენ სხვას ელოდი, მიტომ შეკრთი ასე უცნაურად. ეგებ, თარაშის სიყვარული ჩაგრჩა გულში, ნუ გეშინია, თარაში ცოცხალია, ზვალიდან მე გამშორდი, მისი საყვარელი გახდი! ეგებ, მისთვის ინახავდი უბიწოებას?

ბაბუღი – ნუ ხარ ასეთი უსამართლო, არზაყან. რა შუაშია თარაში? შენ თავს გეფიცები, იმ ჩემ ორ გარდაცვლილ ძმებს ვფიცავარ, არასოდეს უბრალო ფიქრითაც არ მიღალატია შენთვის.

არზაყანი – აბა, თუ ასე ერთგული ხარ, ამაღამვე გახდი ჩემი ცოლი! *(თან ეფერება, ჰკოცნის)*

ბაბუღი – ხათუნა დედის მზეს გაფიცებ, მამის სულსა და შენს უმცროს ძმებს გაფიცებ, ხელის მოწერამდე ხელს ნუ მახლებ!! *(ისევ ეკვთა გაცოფებული არზაყანი ბაბუღის და საწოლზე წამოაქცია)*

ჩაბნელება

ოცდამეხუთე ეპიზოდი

ემხვარების სასახლე

(ცირუნია ფუსფუსებს. შემოდის ემხვარი. ცირუნიას არ ესმის ფეხისხმა)

თარაში – აქა მშვიდობა! *(ცირუნია შეკრთა, მოიხედა და თარაშს გადაეხვია)* ცირუნია, ჩემო ცირუნია, ჩემო ტკბილო მოხუცო... შენსა და ამ ჩვენი ბებერი ძაღლის მეტი აღარავინ დამხვდა ჩვენ ძველ სასახლეში.

ცირუნია – თარაში... თარაში, პატენისქუა! ამას რას მოვესწარი! ვის ხედავს ამას ჩემი დასაბრძავებელი თვალები?! ვაი, რომ ვეღარ მოესწრო დედაშენი ამ დღეს. აღარ გვეყავს ქალბატონი მათა. მხოლოდ მე და ემხვარების ქვრივებმა ძლივს მივაცილეთ სამარემდე.

თარაში – მე მოგკალი, დედა... მე მოგკალი! *(აქვითინდა)*

ცირუნია – ნუ იტირებ, სულო! არც მე და არც სხვას ვინმეს შენს თვალზე ცრემლი არ გვინახავს. დამშვიდდი, სულო; არ გაეხარდებოდა ეს დედაშენსაც... დღედაღამ ჭიშკარს შესცქეროდა

განსვენებული. დიდსა და მცირეს ევედრებოდა, მისოუსტის ამბავი ზომ არ გაგივითო, ან გაზეთებში თუ რამე სწერიაო? მერე ხმა დააგდეს, სამივე დახოცესო ტარებმა. იმ ხანად ერთი ბათმანი სიმინდი-ლა შეგვრჩა, წისქვილში წავიღე. მოვბრუნდი და რას ვხედავ: დამჯდარიყო შუა ოთახში შიშველ იატაკზე, ისეც ნათელი დაადგა მის სულს, შენი ტანისამოსი დაელო წინ და მოსთქვამდა. მე შევრისხე, ნუ გმობთ-მეთქი, ბატონო, ღმერთს, ცოცხალი იქნება-მეთქი შენი გულიყო. მერმე ის იყო შაბათ ღამეს თავი დაიბანა, ილოცა, ჩაწვა. მოვედი დილით, დიდხანს ვალვიძე. ადექი-მეთქი, სულო. ხმა არ გაიღო, ნათელი დაადგა მის სულს. ისე სპეტაკად და კონტად ეძინა, როგორც სჩვეოდა. წინა ღამეს სწერდა რაღაცას, ვგონებ, შენ გწერდა; არ კი იცოდა, სად გამოეგზავნა.

თარაში – *(აღვა, მაგილებზე ეძია ნაწერი, იპონენა)* შეილო თარაში! მე გაგაჩინე ჩემი გულის იმედად. არ მჯერა, თუ ოდესმე მოკვდები. სიკვდილს რა უნდა შენთან? მე მაქვს შენს მაგივრად სიკვდილისთვის გაწვდილი თავი. მალე წავალ ალბათ ამ ქვეყნიდან, დედა, შენთვის ვილოცებ უკანასკნელ წუთებში.

მაია – შენი ხელნაწერი, შენი დიდი შრომა საწერი მაგიდის უჯრაში ძევს. შენ მთხოვდი კათალიკოსის ეტრატის მოძებნას. შენ მზეს ვფიცავარ, ვერსად ვიპოვნე, შესაძლოა ურთხელის კარადაში იდოს. ზეინკალი წასულია თბილისს. გთხოვ, თუ გიყვარდე, არ დაამტვრიო ურთხელის კარადა. ცოლს შეირთავ ალბათ ჩემი ხათრისთვის და მას დასჭირდება ურთხელის კარადა. გთხოვ, გევედრები, კიდევაც რომ იპოვნო, არ წაიკითხო კათალიკოსის ეტრატი. ემხვარები, ასე მსმენია, ერიდებოდნენ ამ ეტრატის კითხვას. ჩემი ერთადერთი სათხოვარი ესაა, ნუ ამოსწყვეტ ვარდანიძე – ემხვარების ძველთაძველ გვარს, ნუ მიბაძავ ერამხუტ ემხვარს, რომელსაც ერთი ბრუციანი მეძებარი დარჩა და ერთიც ფოლადისფერი ქორი. დედაშენი მაია.

თარაში – გესმის, რა დაუწერია დედას, ცირუნია? ასი წლის რომ გავემხდარიყავ და ასი წელი უცხოეთში დავრჩენილიყავ, დედა თუ შინ მეგულებოდა, ფესვები მაქვს-მეთქი ჩემს მიწაში, ასე ვამბობდი. სად არ ვიარე: ჩრდილოეთისკენ, დასავლეთისკენ; გულმეცნიერებს და მოძღვართმოძღვრებს შეგირდად დავუდექ, შევიცან საიდუმლო ვარსკვლავეთისა. მაინც იგივე დავრჩი, ვეღარ გავასწარი სამი წლის ბაღლს – თარაში ემხვარს. ეს

ასე იყო და მას შემდეგ არა შეცვლილა რა, ჩემო ცირუნია! ახლა მესმის: ვინც დღევანდელ დღეს ვეღარ არგო რა, იგი ვერ არგებს ვერც მომავალ საუკუნეებს. მე ვერ შევძელი ვერც სიკვდილი ამ ცხოვრებისთვის, ვეღარც ეპოქის მდინარეების ალღოს აღება. აჰა, ლალუმების სროლით მოდის ჩემსკენ ახალი ჟამი. და ასეთ დროს წამომგზადრვარ დაქცეულ პალატების ჩრდილში და ვუცდი იმ წუთს, როცა თავზე ჩამომენგრევა ეს ქონგურები, ეს თაღები, ბასტიონები. გავექცევი-მეთქი, ვიფიქრე, ამ ეპოქის განმკითხველ რისხვას. მთებს მივაშურე, გავიხიზნე მიუვალ მთებში. მეგონა, იქ შევქმნიდი ახალ ცხოვრებას და რა გამოირკვა: იქაც შეჭრილა გადასულის უცილო ნგრევა. იქაც შეჭრილა ლალუმების გრიალ-გრიალი. *(პაუზა)* ცირუნია, ხაჭაპურებს ზომ არ დამიცხობ საღამოსათვის.

ცირუნია – რატომაც არა, სულო, ახლავე, ახლავე... *(გადის)*

თარაში – *(ურთხმელის კარადის უჯრას გამოანგრევს და ეტრატს იპოვნის)* „პრისხამცა მამაი, ძე და სული წმინდაი ჰემუხვარსა ვარდანს. ას და მერვისა ფსალმუნისა წყევაი მას ზედამც დაესრულების. კრულმცა არს დაუსაბამისა უფლისა სიტყვითა, ექვსთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯვართა, წმინდისა დედაქალაქისა და სვეტიცხოვლისა მადლითა და ჩემ გლახაკ ჯუარითა, რამეთუ ჰემუხვარი ვარდან ვარდანისძე განუდგა ეკლესიასა ქრისტესა და თანაზიარჰყო სატანასა“. ქრისტესწორი კათალიკოსი ქართლისა – არსენი. *(პაუზა)* ასევე! შე საწყალო მგელიკა, მეგობარო, ჩემო ერთადერთო ერთგულო ძაღლო, შენ მაინც უნდა წამომყვე იმ სოფელს, თორემ ნაფუძარზე დაცუცქდები და დაიწყებ ყმუილს. *(ბრაუნინგი მოძებნა)* არ მიყვარს ყმუილი... ჩემთვის აწ ყოველივე ამაოა. მე უკვე აღარ მესმის საუკუნის ძახილი, უკეთ გეტყვი, მესმის, მაგრამ მაჟრჟოლებს მის გაგონებაზე. ხელი მომეცარა სიყვარულში, სამეცნიერო ასპარეზზეც ხელი მომეცარა. ერთ რამეში არ მომეცრება მგონია ხელი და ამას ჩემი ბრაუნინგი გადასჭრის უკეთ... *(ბრაუნინგში ტყვიებს ამოწმებს, საშინელი ბრაზუნე წინკარზე. ბრაუნინგი ჯიბეში ჩაიდო. კარი გამოაღო. ლუკაია შეძლიჭრა, სახეარეული)*

ლუკაია – *(უმზოდ დაუღია პირი. სათქმელს ვერ ამბობს. ტირის)* თამარი კვდება! შენ ნახვას ნატრობს თამარი, შურივე! თბილისიდან პროფესორი ჩამოიყვანა ხერიპსმა. დროზე რომ

გეზმეთ, გადავარჩენდიო! გვიშველე რამე, შურიგე. მალე, შურიგე! იქნებ მიუსწრო! უკანასკნელმა ბორანმა წამომიყვანა. მაგრამ შენ როგორ გახვალ? მე თვითონ ვნახე ჩემი თვალებით, როგორ გაწყვიტა ჯაჭვის ბაგირი. რკინიგზის ხიდიც წუხელ დაუნგრევია ენგურს.

თარაში – ცხენი!

ლუკაია – ეშბას ცხენი თუ გავა ენგურზე, მაგრამ, მგონი, სოხუმშია! კაც ზვამბაიას ცირა გამოდგება.

თარაში – ცირას ფეხი აქვს დაშავებული!

ლუკაია – მაინც შეიარე, შურიგე, ზვამბაიებთან. არზაყანი ცხენს როგორ დაგიკავებს. *(მდიის)*

ცირუნია – მოიცა შე ბედამწვარო ლუკაია, წაიხემსე რაღაც *(მდიის ლუკაია)* აბა ესა სთქვი, შე უხანო, როდის მოხვალ, ლუკაია, როდის?

ლუკაია – არასოდეს, არასოდეს!!!

ოცდამეექვსე ეპიზოდი

არზაყანთან

არზაყანი – *(გახარებული შემოდის)* ძაბული! ძაბული!

ძაბული – მეჩვენება, თუ არაბია დაგვიბრუნეს?

არზაყანი – არაბია. დავიბრუნე, არაბია!

ძაბული – რა არის კიდევ ახალი?

არზაყანი – არენბა არლანი მოხსნეს. მე და ჩალმაზი ცენტრში დაგვაწინაურეს. შეიპყრეს ჯოტო გვასალია. იგი მყისვე გამოტყდა და თავის სიმამრს გვანჯ აფაქიძეს დაადო ხელი. დაატუსაღეს გვანჯ აფაქიძეც და ბობოლების ზუთი თავკაცი, მათ შორის, ბესლან ტარბა ძმებითურთ. ყველა სათითაოდ გამოტყდა: ოქუშის თემსაბჭოს თავმჯდომარის მოკვლა და ჩალმაზზე და ჩემზე თავდასხმები აღიარეს. ცეკას ახალი მდივანი ბერია გამოფრინდაო თბილისიდან, ათ საათზე ველითო ოქუშში, ქუთაისის რაიონის გამოკვლევა თუ მოათავაო. აბა, ჰე, გამიმზადე ფრენჩი და შარვალი, ზუგდიდს ვაპირებ წასვლას.

ძაბული – იცი, არზაყან, თამარი უკანასკნელ დღეში არისო

არზაყანი – ვინ გითხრა?

ძაბული – დეიღამისი ჩამოსულა, დადიანის ქალი, ამ დილით ზუგდიდს მინავალა, მაგრამ ბორანი წყალს წაუღია, აღარც მატარებელი დადისო.

არზაყანი – უნდა ვნახოთ, აბა, მაშინ თამარი... აუცილებლად.

ძაბული – ენგური ადიდებულაო უსაზღვროდ.

არზაყანი – ენგური კი არა, შავმა ზღვამ რომ გადმოლახოს ხმელეთი, მაინც ვერაფერი დამიდგება წინ. ნუთუ ასე გაურთულდა ყვავილი?

ძაბული – რა ყვავილი, შე კაცო. ვითომ არ იცი, რაცა ჭირს. ეს მერვე თვეა, ორსულადაა. *(მოულოდნელად შემოდის თარაში)*

არზაყანი – აა, მოხვედი? კარგია, რომ მოხვედი, მისოუსტ! ძაბული. შენებურად დატრიალდი და საუზმე გაგვიხაზირე.

თარაში – არ მინდა.

არზაყანი – დაიმუხლე მაინც! რას დგახარ?

თარაში – იცი, არზაყან, რისთვის მოვედი? ზუგდიდს მივალ, ცხენი უნდა მათხოვო.

არზაყანი – ცირას ფეხი სტკივა. არაბია ეს-ესაა რაც დამიბრუნა მთავრობამ. მაგრამ წაიყვანე, რა გაეწყობა... თუმცა ბორანი არ არისო! რას იზამ?

თარაში – გავალ როგორმე. *(გამოუმშვიდობებლად შორდებათ ერთმანეთს)*

არზაყანი – ძაბული, ადე, ჩაიცვი. მე მაინც თემსაბჭოში მივდივარ და ხელი მოვაწეროთ ბარემ.

ოცდამეშვიდე ეპიზოდი

როგორ მოიტაცა მთვარე ენგურმა

თარაში – აფშუმა! *(სიჩუბე)* აფშუმა!

ავტორი – რომელი ხარ?

თარაში – ასას. ბორანი თუ მუშაობს?

ავტორი – ბორანმა მოგჭამა ჭირი.

თარაში – ბატონო კონსტანტინე თქვენა ბრძანდებით? ბოდიშს გიხდით, შეგაწუხეთ! გაღმა მეგონა ბორანი.

ავტორი – გაღმა გაიხედეთ, თუ ნაპირი შენიშნოთ. დოღზე თუ მიხვალთ, ზეგ დილით დაიწყება დოღი.

თარაში – მე დოღზე უფრო დიდი საქმე მიჭირს. უნდა გავიდე

ავტორი – ნუ იზამთ ამას, ყმაწვილო, ასეთ დროს ქაჯი ვერ გავა ენგურზე. ენგური ჯერ არავის მოსწრებია ასე გადასული.

თარაში – არა, გავალ როგორმე.

ავტორი – გირჩევთ, დაბრუნდეთ, ყმაწვილო.

თარაში – თუ დედაჩემის ლოცვები რაიმეს ნიშნავდნენ ამ ქვეყანაზე, გადავლახავ ამაღამ ენგურს.

ავტორი – დილა გათენდება და ხვალ სცადეთ ბედი.

თარაში – ხვალ? ხვალ დილიდანვე ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო. როცა თბილისს ჩავალ, უმაღვე აუღენციას ვთხოვ ბერიას და პირდაპირ ვეტყვი: „თქვენ, ბოღშევიკებს პირდაპირი და გულწრფელი ადამიანები გიყვართ. აჰა, მე აქ ვდგავარ თქვენს წინაშე, კაცი, უცხოეთიდან დაბრუნებული, რომელსაც თქვენთან მოსასვლელი გზა ვერ ეპოვნა. თქვენი მტრების ბანაკში ვიყავი, შემედლო მათ მივმსრობოდი, მაგრამ იღუპალმა ხმამ მიკარნახა: ისინი დავგმე და თქვენთან მოვედი. მრავალ გზებზე მიყალინია, მრავალ გზაჯვარედინზე მიყოყმანია და ბოღოს ავირჩიე გზა სტალინისა, რადგან ეს არის გზა ჩემი ხალხისა!“ დამიჯერებენ კი მე...

ავტორი – გამობრუნდით... გირჩევთ... მამაშვილობას გამობრუნდი! თუმცა ეს ისეთი ჯიღავისაა, მამა ღმერთიც ვერ მოაბრუნებს.

თარაში – ჯგერო რდა!

ავტორი – ჯგერო!

თარაში – *(მღღის)* აბზიარაზ!

ავტორი – აბზიარაზ!

თარაში – *(შორიდან)* ნახვამღის!

ავტორი – ნახვამღის!... *(პაუზა)* ღრიალით მიჰქროდა ენგური შავი ზღვისაკენ, როგორც გაცოფებული ძუ ვეფხვი, რომელსაც ბოკვერები წარტაცეს. მრისხანე გრუხუნი მოისმოდა გაღმიდან, თითქოს მდინარე იწვევდა ღუელში ემხვარს. ელავდნენ მოსარკული წყლის ფონზე თამარის ცისფერი, ზღვისფერი თვალები. შეუტია ცხენდაცხენ თარაში ემხვარმა აზღვავებულ სტიქიას, უცებ შემოესმა ემხვარს ისეთი გრუხუნი, თითქოს ლაღუმებით დასძრეს კლდეები, დახვავდნენო გრიალით მთები. სახეში ეცა ურჩხულისებრ აქოჩრილი ტალღა და თვალგახელიღმა აღარ